საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 15 აგვისტო, 2015 წელი.

№153 (7798)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

როცა ცხოვრება უზენაესად გცდის... 4-5

რკინისქალამნებიანი ქალი - ნინო გვენეტაძე

გთავაზობთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის რუსუდან ლორთქიფანიძის პუბლიცისტურ წერილს, რომელიც სპეციალურად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ დაიწერა

მანანა კობახიძე: „რუსთავი-2“ არის მატყუარა „რეალ-ტივი“ უფრო მაღალი სპეცეფექტებით... 5

„კიდევ ფიქრობთ, რომ ამათ ეთერებში უნდა მივიდეთ და შოუები ვაკეთებინოთ, თანაც ადამიანების ნერვების ფასად?! მოვა ისევ სექტემბერი, „გამოგვიძახებს“ გაბუნია ან მისი მსგავსი, ჰოდა ჩვენც არ დავაყოვნოთ, გავიქცეთ, ეს ხომ მაინც „რუსთავია“, — ასე მიმართა სოციალური ქსელის საშუალებით კოლეგებს უმრავლესობიდან, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ, რომლის განცხადებით, „რუსთავი-2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, რასაც მეპატრონის მიერ სამართლიანობის აღდგენა ჰქვია, არ ნიშნავს, რომ ეს არის თავისუფალ მედიაზე ზეწოლა და მით უფრო ხელისუფლების მხრიდან.

ემიჯნება თუ არა „რუსთავი-2“-ს და რატომ ცდილობს არხის ხელმძღვანელობა და ნაციონალური მოძრაობა, რომ სამართლებლივი ბრძოლა გადაიყვანონ პოლიტიკურ ჭრილში? ამ საკითხებთან დაკავშირებით მანანა კობახიძე გვესაუბრება.

ბინაში რეგისტრაცია ახალი წესებით მოხდება 12

კვირაობის საკითხავი

6 კიდევ ერთხელ პაოლოს ფსევდონიმზე

ლამზირა ჩხეიძის ალბომიდან 7

დედამიწა რომ არ „გადაინთვას!“ 5

ზაფხულის საფრთხე ჩვენი 9 პატარებისთვის

ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება და ეს მოხდება მხოლოდ მშვიდობიანი გზით

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 23 წლის წინათ, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ომმა ათასობით ჩვენი მოქალაქის – ჯარისკაცთა თუ მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეიწირა. გულისტკივილით ვიხსენებთ ძმათა შორის სისხლიან დაპირისპირებას და პატივს მივაგებთ მათ ხსოვნას, ვინც ამ კონფლიქტმა ორივე მხარეს იმსხვერპლა.

მოძმე ხალხთა შორის ომს უმძიმესი მატერიალური, ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი მოჰყვა. ასეულობით ათასი ადამიანი იქცა დევნილად საკუთარ სამშობლოში.

სამწუხაროდ, ომის შემდგომ პერიოდში უფრო მეტი გაკეთდა ხალხებს შორის გაუცხოების გასაღრმავებლად, ვიდრე ერთიანობის აღსადგენად. კონფლიქტების მოგვარება კვლავ ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების უმთავრეს გამოწვევად რჩება.

ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება, და ეს მოხდება მხოლოდ მშვიდობიანი გზით, ურთიერთპატივისცემის, ნდობისა და თანამშრომლობის ვითარებაში. ასეთი ატმოსფეროს ფორმირება კი უნდა დაეფუძნოს გაცნობიერებას, რომ რევანშიზმს მომავალი არა აქვს“, – აცხადებს მარგველაშვილი.

პატივი მიაგეს გმირებს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილემ გოგი ფაცაციამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო და გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

* * *

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა ირაკლი შიხიაშვილმა სამსახურის თანამშრომლებთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო და გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

◎ ეკონომიკური შეფასებები

სემეკში „თელასის“ ტარიფთან დაკავშირებით მორიგი წინასწარი განხილვა გაიმართა

განხილვაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ „თელასის“ კაპიტალური დანახარჯების შესახებ სამუშაო ვერსიის პრეზენტაცია გამართა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ, კომპანია „თელასის“ წარმომადგენელმა მიშა ანთაძემ აღნიშნა, შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეგულირებადი აქტივების ბაზას.

„ეს არის სემეკის პოზიცია, რომელთან დაკავშირებითაც ჩვენი კომპანია თავის მოსაზრებებს დამატებით წარმოადგენს 31 აგვისტომდე“, – განაცხადა მიშა ანთაძემ.

მისივე თქმით, ეს არის ერთობლივი მუშა პროცესი და მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

კითხვაზე, ეთანხმება თუ არა ის სემეკის წინასწარი მონაცემებით გაანგარიშებულ სავარაუდო ციფრს, რომლის თანახმადაც, კომისიამ „თელასს“ კაპიტალური დანახარჯების ოდენობად 36 მილიონ ლარზე მეტი განუსაზღვრა, მიშა ანთაძემ აღნიშნა, რომ ეს არის სავარაუდო ციფრი, რომელიც კიდევ დაზუსტდება.

სხდომის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა სემეკის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის უფროსმა გივი სანიკიძემ.

„ჩვენ ავიღეთ აუდიტორის მიერ დადასტურებული ღირებულება, რომელიც შეადგენს 80 მილიონ ლარს. ვითვალისწინებთ ფაქტობრივად განხორციელებულ ინვესტიციებს და აღნიშნული აქტივების ღირებულება ყოველწლიურად მცირდება მათზე დარიცხული ცვეთის ოდენობით. შესაბამისად, ეს ციფრები საჯარო სხდომაზე გაჟღერდა. გასაგებია, რომ შეიძლება „თელასი“ არ ეთანხმებოდეს ამ გაანგარიშებას, ეს არის წინასწარი გაანგარიშება. მიმდინარეობს მონაცემების დაზუსტება და ბუნებრივია, საჯარო სხდომებზე ტარიფის განხილვისას ეს დეტალები იქნება დაზუსტებული“, – განაცხადა გივი სანიკიძემ.

სად წაიღო „თელასმა“ მოსახლეობისგან ამოღებული 800 მილიონი?

„თელასის“ მიერ მოსახლეობიდან 800 მილიონი ლარის ამოღებასთან დაკავშირებით, „ქართული დასის“ ლიდერის ჯონდი ბაღათურიას მიერ გაკეთებული განცხადება არის სრულიად უსაფუძვლო, – ამის შესახებ სემეკის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის უფროსმა გივი სანიკიძემ განაცხადა, რომელიც გამოეხმაურა ბაღათურიას მიერ „თელასის“ ტარიფთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას. „ქართული დასის“ ლიდერი დაინტერესდა თუ სად წავიდა „თელასის“ პრივატიზაციის შემდეგ 800 მილიონი ლარი, რომელიც კომპანიამ მოსახლეობიდან „სისხლისა და ცრემლის ფასად ამოიღო“.

ბაღათურიამ სემეკის წევრებს განუცხადა, რომ მათ კრიმინალური ნორმა დაადგინეს და ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიაში საერთოდ არ მოხვდა ამ 800 მილიონი ლარის ასახვა.

„იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს ყოველი წლის აუდიტორული აქტები, და ამ შემთხვევაში, აუდიტორები არიან დიდი ოთხეულის წარმომადგენლები, თუ ვინმეს მათ შორის, ბატონ ჯონდის აქვს კომპეტენცია, რომ დიდი ოთხეულის დასკვნებში ეჭვი შეიტანოს, ეს უკვე მათი პრობლემაა“, – განაცხადა სანიკიძემ ბაღათურიას კითხვის პასუხად.

როგორც სანიკიძემ განმარტა, 1999 წლის ბოლოს, აუდიტის დასკვნის მიხედვით „თელასის“ დებიტორული დავალიანება, ანუ მისაღები თანხები ელექტროენერგიის ნაწილში არის 22 მილიონი ლარი, ხოლო გადავადებული გრძელვადიანი მოთხოვნები, სულ 36 მილიონი ლარი. შესაბამისად, მისი თქმით, 800 მილიონი სრულიად უსაფუძვლო, ჰაერიდან მოტანილი ციფრია, რომელსაც არანაირი არგუმენტი არ გააჩნია.

ჯონდი ბაღათურიას განცხადებას გამოეხმაურა „თელასის“ წარმომადგენელი მიშა ანთაძე, რომელმაც მის გამონათქვამს არასერიოზული უწოდა.

ნავთობის იმპორტი გაიზარდა

ივლისის თვეში საწვავის იმპორტი გაიზარდა. მიმდინარე წლის ივლისში საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის საწვავი) იმპორტმა შეადგინა 92,1 ათასი ტონა, რაც 11,1 ათასი ტონით აღემატება ივნისის თვის მაჩვენებელს.

მიმდინარე წლის ივლისის თვეში საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის საწვავი) იმპორტმა შეადგინა 92,1 ათასი ტონა, რაც 11,1 ათასი ტონით აღემატება ივნისის თვის მაჩვენებელს.

მათ შორის, ივლისის თვეში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 34,5 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა – 57,6 ათასი ტონა.

საწვავის კატეგორიების მიხედვით 2015 წლის ივლისის თვეში საქართველოში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა: A-91 რეგულარი მარკის ბენზინი – 24,4 ათასი ტონა, ანუ 70,7%; A-95 პრემიუმი მარკის ბენზინი – 9,7 ათასი ტონა, ანუ 28,1%, A-98 სუპერი მარკის ბენზინი – 0,4 ათასი ტონა, ანუ 1,2%.

მიმდინარე წლის ივლისის თვეში საქართველოში იმპორტირებულ იქნა 12,5 ათასი ტონა სანავთობო ბიტუმი, რომლის უმეტესი წილი – 90,4% განხორციელდა ირანის ისლამური რესპუბლიკიდან.

◎ ფასებმა ქართველები შეაშინა

ბორჯომში დამსვენებლებს „ცეცხლი უკიდიათ!“

საქართველოს დანარჩენი საკურორტო ადგილების მსგავსად, წელს სეზონური კრიზისი ბორჯომსაც შეეხო. მინერალური წყლებითა და წიწვნარით განთქმული ბორჯომის ხეობა წელს ტურისტების სიმცირეს უჩივის. თავის მხრივ, დამსვენებლები კატასტროფულ ფასებსა და მომსახურების დაბალ დონეზე ჩივიან. პარალელურად, დამსვენებლების მისაზიდად საკურორტო ზონაში ახალ-ახალი სასტუმროების მშენებლობა თუ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გრძელდება. რაც შეეხება მაღალ ფასებს, როგორც ექსპერტები აცხადებენ, ფასებს ბაზარი დაარეგულირებს, მანამდე კი დამსვენებელს არჩევანის უფლება აქვს – დაისვენოს ბორჯომში ან შემოთავაზებულ ფასში სხვა კურორტს ეწვიოს.

პროდუქტებსა თუ მომსახურების სფეროში მაღალი ფასები განსაკუთრებით თვალშისაცემია ბორჯომის ცენტრალურ პარკსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. წელს სიახლეა იმ მხრივ, რომ პარკში შესვლა სპეციალური ელექტრონული ბარათების მეშვეობითაა შესაძლებელი. იგივე პრინციპი მოქმედებს საბავშვო საქანელებზეც. ფასები რომ მართლაც უსაშველოდ მაღალია, ამაში თავად დავრწმუნდით. დავიწყოთ საბაგიროთი, რომელიც ბორჯომის პარკსა და პლატოს აკავშირებს. საბაგიროთი ერთჯერადი მგზავრობა 3 ლარი ღირს, უკან დაბრუნების სანაცვლოდაც მომხმარებელს 3 ლარის გადახდა უწევს. ეს მაშინ, როცა შარშან მგზავრობის ღირებულება ორივე გზაზე 3 ლარი იყო. საბავშვო ატრაქციონების ფასი 3-დან 5 ლარამდე მერყეობს.



თავის მხრივ, ტურისტების ნაკადის სიმცირეს უჩივიან ადგილობრივებიც. განსაკუთრებით მათ გაუჭირდათ, ვისაც ბინა პარკისგან მოშორებით აქვს. დამსვენებლების უმრავლესობა ბინის დაქირავებას, მაღალი ფასის მიუხედავად, მაინც პარკთან ახლოს არჩევს, სხვა შემთხვევაში კი ლიკანში დაბინავებას ამჯობინებენ, სადაც ფასები მეტნაკლებად დაბალანსებულია. ბორჯომის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საოჯახო ტიპის სასტუმროში ერთი დღე-ღამის საფასური 50-დან 80 დოლარამდე მერყეობს (გააჩნია კომფორტს, საცხოვრებელ პირობებს) კვების გარეშე. პარკისგან მოშორებით მდებარე კერძო სახლებსა და კორპუსის ბინებში დღიური ქირა 15-დან 25 ლარამდე მერყეობს. ცხადია, აქაც კვების გარეშე.

მარინა ზაალიშვილი, საოჯახო სასტუმროს მენეჯერი: „ჩვენი სასტუმრო პარკთან ახლოსაა, ფეხით 10 წუთის სავალი გზაა. ამის მიუხედავად, კლიენტების სიმცირე გვაქვს. წინა წლებთან შედარებით, დამსვენებელთა რაოდენობა აშკარად შემცირდა. ადრე საღამოობით პარკში ხალხის ტევა არ იყო. ჩამოსასხდომ ადგილს ვერ იპოვიდით, ახლა ასე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ნახევარი უკვე გავიდა, დამსვენებლის რაოდენობა არ გაზრდილა. თუმცა, ქართველებისგან განსხვავებით, შედარებით ბევრი დამსვენებელი გვყავს აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და ყაზახეთიდან“.

მანონ დევაძე, კერძო ბინის მეპატრონე: „ბოლო წლებში, რაც ბორჯომში დამსვენებლების რაოდენობა შემცირდა. უწინდებურად მრავლად არ არიან. თუმცა, საწუწუნოდ საქმე მაინც არ გვაქვს. მე სახლს ვაქირავებ, ჩემი მუდმივი კლიენტები მყავს, თან გირჩის მურაბებსა და ნაძვის მტვერს, სუვენირებს ვყიდი და დღის ბოლოს ნავაჭრით კმაყოფილი ვარ. ქართველი დამსვენებლები მაღალ ფასებზე წუწუნებენ, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ – ცხოვრება გაძვირდა. ჩვენც ხომ გვინდა არსებობა? ზაფხულში მიღებული შემოსავალი მთელი წლის განმავლობაში უნდა ვიმყოფინოთ“.

სალომე გოგოხია

მანანა კობახიძე: „რუსთავი-2“ არის მატყუარა „რეალ-ტივი“ უფრო მაღალი სპეცეფექტებით...

(პირველი გვერდიდან) — ვინ იქნება მესაკუთრე და მფლობელი, ეს არანაირ კავშირში არ არის მედიის თავისუფლებასთან და სარედაქციო პოლიტიკასთან. ჟურნალისტის საქმიანობაში არავინ არ უნდა ერეოდეს, არც გვარამია და არც ხალვაში. შესაბამისად, ვინ იქნება მესაკუთრე და როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, ეს არ უნდა აისახებოდეს ტელევიზიის მუშაობასა და საქმიანობაზე.

არავინ არ ცდილობს მათი საქმიანობის შეფერხებას. აჟიოტაჟის ატეხვა, რომ თურმე თავისუფალ მედიას ვინმე ერჩის და მით უმეტეს ხელისუფლება, ეს არის მტკნარი სიცრუე. ჩვენი ხელისუფლების ყველაზე დიდი მონაპოვარი არის თავისუფალი მედია. არავინ არ უშლის ხელს „რუსთვი-2“-ს თუნდაც იმ არაობიექტური ინფორმაციის გავრცელებაში, გაავრცელეონ. უბრალოდ, ერთი პრეტენზია გვაქვს, თქვან, რომ არის ნაციონალური მოძრაობის ტელევიზია და აღარ მექნება პრეტენზია. ნუ იტყვიან, რომ არიან დამოუკიდებლები და თითქოს ბრძოლა მიდის თავისუფალ მედიაზე.

— ანუ, თქვენ თვლით, რომ „რუსთავი-2“ არ არის დამოუკიდებელი ტელევიზია?

— ზუსტად ამას ვუსვამ ხაზს, რომ „რუსთავი-2“ არის პარტიული ტელევიზია. „რუსთავი-2“ და ნაციონალური მოძრაობა არის ერთი მხარე. არ სურთ იმის აღიარება, რომ დიახ ნაციონალური მოძრობა არის დამკვეთიც, რეჟისორიც და დირიჟორიც, მაგრამ ყველამ ხომ ყველაფერი იცის. საერთად სად არიან ამ ტელევიზიის მესაკუთრეები? — ვინ არიან ეს ყარამანიშვილები? როგორ შეიძლება ადამიანს საკუთრების უფლებას ურღვევდნენ, მათ მიმართ მზაკვრულ გეგმას ახორციელებდეს ხელისუფლება და ეს ადამიანები ხმას არ იღებდნენ.

— მესაკუთრეების დუმილი ადასტურებს, რომ ისინი ფორმალური მესაკუთრეები არიან?

— რა თქმა უნდა. დაგვანახონ ეს ადამიანები; მაგრამ ეტყობათ, რომ არც აინტერესებთ ეს ამბავი. სამი წელია ყვირიან, რომ ხელისუფლება ერჩის „რუსთავი-2“-ს და მესაკუთრე ხმას არ იღებს — გაუგონარი რამ არის. ამით, ხომ ყველაფერი ცხადია და ნათელია!

— კანონმდებლობა უკრძალავს პარტიას, რომ ჰქონდეს საკუთარი ტელევიზია?

— შეიძლება პარტიას ჰქონდეს თავისი ტელევიაზია და ამას არ კრძალავს კანონი. მაგრამ ხალხს ნუ ეტყვიან, რომ ისინი წარმოადგენენ თავისუფალ მედიას, საზოგადოებას ნუ დააბნევენ.

მაგრამ არც არავინ არ იბნევა. ვინ, ვინ და მედიის თავისუფლებაზე ვინ საუბრობს? — ბატონი გვარამია, რომელმაც ბოდიშიც კი მოიხადა და აღიარა, რომ ის, რაც „იმედთან“ დაკავშირებით მოხდა, იყო შეცდომა. ძალიან უხერხულია „იმედის“ საქმის რეჟისორს და ავტორს, რომ პრეტენზია აქვს მედიის თავისუფლებაზე — საზოგადოებას ყველაფერი კარგად ახსოვს.

დაელოდონ სასამართლოს — თუ ადამიანი თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა, მან სასამართლოში უნდა იჩივლოს, ქუჩაში ვერ გაარჩევს ამ საქმეს, ან კულუარულ გარჩევას ვერ მოაწყობს, როგორც ამას ისინი აწყობდნენ წარსულში. ერთადერთი ორგანო, სადაც ადამიანმა სამართალი უნდა იპოვოს, ეს არის სასამართლო და დაელოდონ სასამართლოს.

დღეს სასამართლოში საქმის მოგება ძალიან ადვილია თუ შენ არგუმენტები და მტკიცებულებები გაქვს. იგივე გვარამიას მიამრთ რომ დადგა გამამრთლებელი განაჩენი, ხომ იყო კმაყოფილი? ე.ი. როცა სასამართლო მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, მაშინ ამბობენ, რომ სასამართლო დამოუკიდებელია; თუ სასამართლო მათთვის მიუღებელ გადაწყვეტილებას გამოიტანს — მაშინ ეს მოსამართლე არის მონა?

ძალიან კარგად უნდა იცოდეს ნიკა გვარამიამ, რომ ასეთი ფორმით და ასეთი ტერმინოლოგიით სასამართლოზე ზეწოლა დაუშვებელია. როგორც ადრე ზემოქმედებდნენ სასამართლოზე, ახლაც უნდათ, რომ ასეთი ფორმით მოახდინონ ზეწოლა, შანტაჟი, მუქარა — ეს მათი სტილია. ამას ხან აკეთებდნენ ჩუმად, ხან — ღიად.

— საკუთრების დაბრუნების პროცესის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა და თქმა იმისა, რომ ეს არის მედიაზე ზეწოლა, ანუ გვრამიას გზავნილი როგორ ფიქრობთ, დასავლეთისკენ არის მიმართული, რომ დღეს ხელისუფლება ერევა მედიის საქმიანობაში?

— საქართველოში სიტყვის თავისუფლება დაცულია და დიახ, ეს არის ჩვენი ხელისუფლების მონაპოვარი. ის დრო არ არის, როდესაც ყველა ტელევიზიას სწორედ ხელისუფლება უკვეთავდა სიუჟეტებს. იცით, როგორი შეტევა იყო „მაესტროზე“, რომლის ინტერესებს მე ვიცავდი. შენობაც არ ჰქონდათ და რადიოდან მაუწყებლობდნენ. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, კერძო დავიდან გამომდინარე „მაესტროს“ წილებიც დაყადაღებული ყოფილა სასამართლოს მიერ, მაგრამ არავითარი შეფერხება მაუწყებლობას არ ჰქონია და ჩვეულებრივ მაუწყებლობენ.

მედიაზე ზეწოლა არის ის, რაც „იმედში“ მოხდა, როცა სპეცრაზმი შევარდა და ჟურნალისტებს ხელებს უგრეხავდნენ. როდესაც, კერძო პირი ამბობს, რომ ტელევიზია ძალად დაათმობინეს და ამიტომ სასამართლოში ჩივის, რა შუაშია აქ ხელისუფლება?!

თუ არაფერი დაუშავებიათ, მით უმეტეს, გვარამიას, რომელიც არც მესაკუთრეა და არც მფლოგელი, რატომ ეშინია, სასამართლომ გაარკვიოს, რა მოხდა? თუ ხალვაში ვერ დაასაბუთებს, რომ მას წაართვეს ტელეკომპანია, ეს კარგი იქნება თვითონ „რუსთავი-2“-ისთვის — ნუ ეშინიათ სიმართლის დადგენის.

რაც უნდათ და როგორც უნდათ, ისე გააშუქონ, არ ვედავებით, ოღონდ ერთი რამ თქვან, რომ ეს არის ნაციონალური მოძრაობის ტელევიზია. ჩემთვის „რუსთავი-2“ არის „რეალ-ტივი“ უფრო მაღალი სპეცეფექტებით.

„მოვა ისევ სექტემბერი, „გამოგვიძახებს“ გაბუნია ან მისი მსგავსი, ხოდა ჩვენც არ დავაყოვნოთ, გავიქცეთ, ეს ხომ მაინც „რუსთავია“ — ეს განცხადება ნიშნავს იმას, რომ თქვენ ბოიკოტისტენ მოუწოდებთ კოლეგებს?

— არა. მე, ჩემს კოლეგებს მივმართე, უნდა ვიაროთ თუ არა პარტიულ ტელევიზიაში? რადგან, „რუსთავი-2“ არის პარტიული ტელევიზია და ჩვენ გვაქვს არჩევანის უფლება, ვიაროთ თუ არა პარტიულ ტელევიზიაში. დაარქვან ყველაფერს თავისი სახელი, სხვა პრეტენზია მე არ მაქვს. მე ვთვლი, რომ „რეალ-ტივიში“ არ უნდა ვიაროთ!.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

◎ ამერ-იმერი

აჭარაში ტურისტთა რაოდენობა იზრდება

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის სტატისტიკის თანახმად, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2015 წლის იანვარ-ივლისში განთავსების ობიექტებში ტურისტების 3,40%-იანი ზრდა შეინიშნება.

აჭარის მასშტაბით რეგისტრირებული განთავსების ობიექტების მონაცემების მიხედვით, ივლისის თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.8 %-იანი ზრდა აღირიცხა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ წარმოებული სტატისტიკის მიხედვით, განთავსების ობიექტებში 2015 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში (7თვე) გასულ წელთან შედარებით, ტურისტების 3,40%-იანი ზრდა შეინიშნება.

განთავსების ობიექტების მიხედვით რაოდენობრივი მაჩვენებლებითა და ზრდით ლიდერობს შემდეგი ქვეყნები: — თურქეთი (+3,2%), აზერბაიჯანი (+1,5%), რუსეთი (+3,7%), უკრაინა (+3,5%), სომხეთი (+0,8%), პოლონეთი (+3,7%), ისრაელი (+4,6%), ბელორუსი (+6,8%), ყაზახეთი (+11%), ლიტვა (+5,5%).

ივლისის თვეში 6,10%-იანი ზრდა დაფიქსირდა ასევე აჭარაში არსებულ სასაზღვრო პუნქტებში, კერძოდ, სარფის საბაჟოს, აეროპორტსა და ბათუმის პორტში. სასაზღვრო მონაცემების მიხედვით, 9,16%-ითაა გაზრდილი უცხოელი ტურისტების, ხოლო 3%-ით საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა.

რაც შეეხება ქვეყნის მასშტაბით არსებულ მონაცემებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 737 ათასზე მეტმა უცხოელმა გადმოკვეთა, რაც წინა წლის მონაცემებს 9,5 პროცენტით აღემატება. საქართველოში დასასვენებლად კი 336 ათასზე მეტი ტურისტი ჩამოვიდა, რაც 2014 წელთან შედარებით, 2,2% პროცენტით მეტია.

„დელტა“ გარემოს დაცვაში დაგვეხმარება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის **თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

დოკუმენტს უწყებების პირველმა პირებმა მოაწერეს ხელი. მემორანდუმის თანახმად, თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო სამხედრო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ გარემოს დაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ საქვეუწყებო დაწესებულებებს გაუწევს დახმარებას გარემოს დაცვითი მიზნებისთვის უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებაში და სათანადო საექსპორტო კონსულტაციების გაწევაში.

როგორც თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა განმარტა, მემორანდუმის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ორმა უწყებამ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს, განსაკუთრებით ბრაკონიერებთან ბრძოლის საქმეში. როგორც გარემოს დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა განმარტა, უკანონო თევზჭერის, ხის უკანონო მოპოვების წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

„ამ ბრძოლაში ვთანამშრომლობთ ნებისმიერ უწყებასთან. ჩვენი მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა თავდაცვის სამინისტროსთან, გულისხმობს თავდაცვის სამინისტროს ტექნიკური რესურსების გამოყენებას იმისთვის, რომ ბრძოლა უფრო ეფექტიანი გახდეს. ჩვენი ადამიანური რესურსები სამინისტროში არის მწირი, მაგრამ „დელტას“ უპილოტო საფრენი აპარატით ჩვენ ვგეგმავთ, შევისწავლოთ ტყეები, ვნახოთ რესურსები, რამდენად არის დაზიანებული და ეს შესაძლებლობას მოგვცემს დიდი ფართობების მონიტორინგი ეფექტიანი გახდეს“, — განაცხადა გიგლა აგულაშვილმა.

გუდაურში ველოპარკი გაიხსნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მთის კურორტების განვითარების კომპანიის ორგანიზებით, სლოვენიურმა კომპანია „ალიანსმა“ გუდაურში ველოპარკის მშენებლობა დაასრულა.

სამთო ველობილიკის საბოლოო სიგრძე 4790 მეტრია. ველოპარკის მშენებლობა გონდოლას ზედა სადგურიდან დაიწყო და ქვედა სადგურთან დასრულდა. გუდაურში ველოპარკი პროფესიონალმა ველომრბოლელებმა გახსნეს.

ტურზიმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, უკვე მიმდინარეობს ველოპარკის მოწყობა ბაკურიანშიც, სადაც სამთო ველობილიკების მოწყობა სექტემბრის დასაწყისში დასრულდება.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე ველოპარკის მოწყობის მნიშვნელობაზე საუბრობს.

„პირველად საქართველოში სამთო ველობილიკები მოეწყო გუდაურში. ამ პროექტის მიზანია ბაკურიანსა და გუდაურში დამატებითი ტურისტული პროდუქტის შექმნა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კურორტებზე სეზონურობის გახანგრძლივებას. სამთო ველობილიკების მოწყობა ორივე კურორტზე ძალიან მალე დასრუდება, რაც საშუალებას მოგვცემს ზაფხულის სეზონზეც დატვირთოს მთაც და არსებული მძიმე ინფრასტრუქტურაც (საბაგიროები, საზკვების ობიექტები და სხვა)“, — განაცხადა გიორგი ჩოგოვაძემ.

აღსანიშნავია, რომ ველობილიკი არ გადაკვეთს სასრიალო ტრასებს, ველობილიკებზე გადაადგილება უსაფრთხოა და ის სრულად დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

ინტერპრესი

რკინისქალამნებიანი ქალი

როგორც იქნა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აგვისტოს ერთ ცხელ შაბათს ჩემთან სასაუბრო დრო გამონახა. სიბრიყვე იქნებოდა მეფიქრა, მხოლოდ ჩემთვის მოიცალა-მეთქი, ამიტომაც დანიშნულ დროზე რამდენიმე წუთით ადრე შევაღე უზენაესი სასამართლოს ის კარი, რომელიც თითქმის ათი წლის წინათ უხეშად მიუხურეს ამ უწყების რიგით მოსამართლეს ნინო გვენეტაძეს. მაშინ მას ღირსებისა და პროფესიული უფლებების დაცვის გარდა, არაფერზე უფიქრია. არადა, ჩვილი ბავშვის მარტოხელა დედას საფიქრალ-საზრუნავი თავზე საყრელად ჰქონდა. პირველი, ვინც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით „მოცელილი“ კოლეგა გაამხნევა, ნაკლები სახდელით უზრუნველყოფილი დავით სულაქველიძე იყო (მერაბ ტურავა საავადმყოფოში იწვა) და მაშინ, სამოსამართლეო უფლებამოსილება ჩამორთმეული, ანუ სამსახურიდან დათხოვნილი, უკიდურესად შეურაცხყოფილი, უსამართლოდ დაჩაგრული და პირად ცხოვრებაში უმძიმესი ყოფითი პრობლემების წინ მდგარი მარტოხელა ქალი თავს შემოუძახებს: ტრაგედია ის კი არ არის, რომ დაეცი, ტრაგედიაა, როცა კარგავ ადგომის სურვილს. შენ უნდა ადგე! იმ დღეს ნინო გვენეტაძემ რკინის ქალამნები ჩაიცვა და გამარჯვების ურყევი რწმენით კოლეგებთან ერთად სამართლიანობისკენ მიმავალ აღმართს შეუდგა რწმენით, რადგან იცოდა, დაღმართს უსათუოდ მოსდევს აღმართი და აღმართს დაღმართი. ეს მას არ უთქვამს, მის საუბარში ქვეტექსტად იკითხებოდა.

პაუზა

ჟურნალისტიკა ის პროფესიაა, რომლის თვალსაწიერიდან ჩინებულად მოჩანს ნებისმიერი ხელისუფალი, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთი შორიდან არნახულად ბრწყინავს კიდეც, მაგრამ საკმარისია მიუახლოვდე და ხიბლს დაკარგავს. ამიტომაც ნებისმიერ რესპონდენტთან მიმავალს მუდამ მახსოვს ნოდარ დუმბაძის შეგონება: რომ ადამიანი ფრესკა არ არის და შესაფასებლად ერთი კუთიდან კი არ უნდა უცქირო, გარს უნდა შემოუარო, იმ მხრიდან დაინახო, რომლიდანაც უკეთ ჩანს, თუმცა „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“...

ვიცრუებ, თუ ვიტყვი, არ ვღელავდი-მეთქი, რადგან ამ უზენაესი უწყების ისტორიაში პირველ ქალ თავმჯდომარეს მხოლოდ შორიდან ვიცნობდი. მისი საჯარო გამოსვლები, თუ პრესკონფერენციები ყოველთვის ერთ საბოლოო მიზანს — სამართლიანობისკენ სვლას ემსახურებოდა. მისი გამომეტყველებაც ამის ნათელი დასტურია. ყველაზე დიდი არგუმენტი კი — მისი შემართება, პრინციპულობა და შეუპოვრობა.

უჩვეულო გამოდგა ჩვენი შეხვედრა. უზარმაზარი კაბინეტის კართან შემომხვდა. ირგვლივ პასუხისმგებლობის სიმძიმე და უბრალოება იგრძნობა, საქმიანი ქაღალდებით დატვირთულ მაგიდას ერთი პატარა აყვავებული კაქტუსი ამსუბუქებს. ამის გარდა, თვალში საცემი კედლის კალენდარი და კარის თავზე დაკიდებული საათია. ჩემს მზერას იჭერს: ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ნაჩუქარიაო, მეუბნება ყვავილზე და აშკარაა, როგორ ეძვირფასება ისე, როგორც მისი ცხოვრების უმძიმეს პერიოდში უწმინდესივეს ნაჩუქარი ვერცხლის პატარა ჯვარი. კალენდარსა და საათზე არაფერს მეუბნება. ჩანს, შინაგანი კულტურა ცენზორად უზის, მაგრამ ადვილი მისახვედრია, ორივე საგანი შეხსენების სიმბოლოა მისთვის და, რა თქმა უნდა, ჩემთვისაც, რომელიც ინტერვიუს წარმართვაში მეხმარება.

ქალბატონი ნინო სამუშაო მაგიდის წინ მდგარ სავარძელზე თავაზიანად მიმანიშნებს და თვითონაც ჩემს მოპირდაპირედ ჯდება. მის დაძაბულობასა და ღელვაზე ხელები მეტყველებენ.

ამ კაბინეტში ადრეც ვყოფილვარ, წინარე თავმჯდომარეებთანაც მისაუბრია, მაგრამ თუ ერთი სათათბირო მაგიდის თავში მჯდარი გამსაუბრებია, მეორე სამუშაო მაგიდას არ მოსცილებია. ნინო გვენეტაძემ, თავისი ჟესტით, ჩვენს შორის ყოველგვარი იერარქიული განსხვავება წაშალა, რამაც, ვფიქრობ, ბევრად განაპირობა ის გულწრფელობა, რომელიც ბოლომდე გაჰყვა ჩვენს კითხვა-პასუხს და დაეჭვების საბაბი არ მომცა. იგი ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა. ამას მისი ჟესტებიც ადასტურებდნენ.

ნინო გვენეტაძე... თუმცა, მოდით, დასკვნებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, რადგან, უპირველესად, მაინტერესებს, რა არის უზენაესი სასამარათლოს თავმჯდომარისთვის სამართალი და სამართლიანობის აღდგენა. ამიტომაც პირველი შეკითხვაც ეს არის.

— მაღალი ინტერესი, მთავარი ამოცანა, მიზანი, რომელთანაც აუცილებლად უნდა მივიდეთ. მთელმა ჩემმა ათწლიანმა ბრძოლამ და მისმა შედეგმა დამარწმუნა, რომ ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ ღირსებისთვის, უფლებებისთვის, სიმართლისა და სამართლიანობისთვის ბრძოლა გადაარჩენს. ამ გზაზე უკან არავინ არ უნდა დაიხიოს. სწორედ ათი წელი შევალიეთ მე და ჩემმა კოლეგებმა სამართლიანობის აღდგენას, ათი წელი ვიბრძოდით იმდროინდელი რეალობის წინააღმდეგ. ჩვენ საზოგადოების გვერდით ვიდექით და ვიბრძოდით დამოუკიდებელი სასამართლოსთვის. მართალია, ამას სამოსამართლეო უფლებამოსილების ფორმით ვერ ვახერხებდით, რადგან ამას უფლება ჩამორთმეული გვქონდა, მაგრამ საზოგადოებასთან კავშირი არ გაგვიწყვეტია. ჩვენ ვთანამშრომლობდით ხალხთან. ეს იყო იურდიული კონსულტაციები უფლებადარღვეულ იმ ადამიანებთან, რომლებიც თავიანთი სურვილითა და ნებით გვაკითხავდნენ. ამით ჩვენ ვგრძნობდით საზოგადოების მაჯისცემას. ასევე, საზოგადოების უმეტესი ნაწილის მხარდაჭერას, ეს კი ძალასა და ენერგიას გვმატებდა, ჩვენი გამარჯვება მათმა მხარდაჭერამაც განაპირობა.

— და მაინც, როგორია ნინო გვენეტაძის ათწლიანი ბრძოლის გზა?

— რთული, ეს იყო წარსულის გაანალიზების პერიოდი, მეტი სწავლისა და გამოცდილების შეძენის ხანა, ეს იყო, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გერმანელ კოლეგებთან ურთიერთობის წლები, სტუდენტებისთვის სამართლისა და სამართლიანობის სწავლების დრო...

პაუზა

ამის გარდა, რა თქმა უნდა, იყო პირადი ცხოვრება. გამართლება და გაუმართლებლობა, გულისტკენაცა და იმედგაცრუებაც, მატერიალური თუ სულიერი გაჭირვება, რომელსაც ითმენდა, იტანდა, უძლებდა მარტოხელა დედა. ამასაც საზოგადოების უმეტესობას უმადლის, თავი მიტოვებულად არასოდეს მიგრძვნიაო, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ცნობდნენ, ამხნევებდნენ, თავს ახსენებდნენ, თურმე მათი ახლობელი თუ ნაცნობი გასამართლებია. ზოგი ემადლიერებოდა, ზოგიც მსუბუქად საყვედურობდა. თავის გაჩერებაზე მგზავრები შორიდანვე ცნობდნენ, ბევრჯერ მძღოლი დაულოდინებიათ: ჩვენი მოსამართლე მოდისო, ესეც თანაგრძნობა იყო, სიმხნევეს რომ მატებდა ერთ ჩვეულებრივ, მაგრამ ხასიათის თვისებებით ბევრისგან განსხვავებულ და გამორჩეულ ქალს.

შემართება, პრინციპულობა და შეუპოვრობა ნინო გვენეტაძის ხასიათის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა.

ამბობს

— **როცა** ჩემი ცხოვრება ყველანაირად გაუსაძლისი გახდა, როცა გაჭირვებამ და უსამართლობამ ერთდროულად შემომიტიეს, უნივერსიტეტში ერთმა, ჩემთვის დიდად პატივსაცემმა ქალბატონმა მირჩია: იქნებ მიგეტოვებინა ეს ბრძოლა, სამართლის გამორჩეულ სპეციალისტს, დოქტორს სალექციო საათებს არავინ დაგამადლის და შვილსაც სიმშვიდეში აღზრდიო. არ დავეთანხმე, რადგან ეს ჩემი, შინაგანი სამყაროს, ჩემი პრინციპულობის ღალატი იქნებოდა., საზოგადოებამ კარგად იცოდა, რომ მაშინდელი მართლმსაჯულება მთლიანად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არ იყო და სჯეროდა, რომ ჩვენ კეთილსინდისიერი ბრძოლით მივდიოდით სამართლიანობისკენ. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა, რადაც უნდა დამჯდომოდა ბრძოლა უნდა გამეგრძელებინა.

მაინც როდის მიხვდა ნინო გვენეტაძე, რომ იგი სამართლიანობასა და აქედან გამომდინარე, თავის პრინციპებს ვერ უღალატებდა? მაშინ, როდესაც სამი ჩეჩენის რუსეთის ფედერაციისთვის გადაცემის საქმეს განიხილავდა. მან თავის კოლეგებთან ერთად, სასამართლო გადაწყვეტილებით უარი დაადასტურა.

იხსენებს

— ეს ყველაზე რთული, მნიშვნელოვანი და საინტერესო საქმე იყო ჩემს სამოსამართლეო პრაქტიკაში. საქმის განხილვა გაჭიანურდა, რადგან ერთი შეხედვით, დამნაშავეთა გადაცემის საკითხი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დონეზე იყო აყვანილი. საქმეს გამუდმებული ზემოქმედებაც ართულებდა, თუმცა, ჩვენ მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი: მიგვეღო სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება, როცა განხილვები ძალიან გართულდა და კულმინაციას მიაღწია, დაძაბულობის მუხტი კიდევ უფრო გაზარდა, ეგრეთ წოდებულმა, „შემოგდებულმა“ ინფორმაციამ, ანუ, თუ ჩვენ ამ სამ ჩეჩენს რუსეთის ფედერაციას არ გადავცემდით, შესაძლო იყო, რუსებს ყაზბეგი დაებომბა. ეს ის ინფორმაცია იყო, რომელსაც, ვიღაცის გათვლით, სასამართლო გადაწყვეტილებაზე გავლენა უნდა მოეხდინა. ამის მიუხედავად, სამსაათიანი თათბირის შემდეგ საზოგადოებით, განსასჯელთა მშობლებითა თუ ახლობლებით, საერთაშორისო ორგანიზაციათა თუ სახელმწიფო სტრუქტურათა წარმომადგენლებითა და უამრავი კამერით გადაჭედილ უზენაესი სასამართლოს ისტორიულ დარბაზში რუსეთის ფედერაციას ჩეჩენთა გადაცემაზე უარი ვუთხარით. მახსოვს, ერთიანად ვკანკალებდი. ემოციური დაძაბულობის ფონზე ერთი კვირა მაღალსიცხიანი ვიწექი. ეს იყო, პროფესიულად ჩემი ყველაზე დიდი გამოცდა, რომელიც სამართლებრივად ისეთი მაღალი დონის ქვეყნის მოსამართლეებმა როგორიც გერმანიაა, სამართლიანად, კანონიერად, სიმამაცედ და გაბედულად შეაფასეს.

რა იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დაბრუნებულ ნინო გვენეტაძის პირველი და უმთავრესი მიზანი?

დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მართლმსაჯულების შექმნა. საზოგადოებაში გვარიანად სახელგატეხილი სასამართლოს ავტორიტეტის აღდგენა და არა სხვა რამ, თუნდაც, ვიწრო პარტიული ინტერესების განხორციელება, ან შურისძიება, სამაგიეროს გადახდა, მაგრამ მანამდე აუცილებელი იყო ყოველივე ამაში სასამართლო კორპუსის დარწმუნება.

შეძლო?

გულწრფელად აღიარებს, რომ ჯერჯერობით ვერა.

— სწორედ ჩემი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ მოსვლის მომენტს დაემთხვა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული მსხვილი საკანონმდებლო პაკეტის განხილვის პროცესი, რომელშიც შედის ძალიან სერიოზული სარეფორმო სამუშაოები. ამ პაკეტს, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი შუქ-ჩრდილები, ასევე, მეც მქონდა საკუთარი ხედვები, რომელთა განხორციელებაც, ბუნებრივია, აუცილებლობად მიმაჩნდა და მაშინ, როცა მე სასამართლო კორპუსისთვის (როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს) ჩემი მიმართულებები, სურვილები, შესაძლებლობები, კეთილგანწყობა უნდა მეჩვენებინა, მიწევდა არაპოპულარული განცხადებების გაკეთება. ამავე დროს კარგად ვიცოდი, რომ სასამართლო კორპუსი ერთგვაროვნად არ უყურებდა ჩემს თავმჯდომარეობას, ვიცოდი, რომ წინააღმდეგობა შემხვდებოდა, მაგრამ სხვა არჩევანი არ მქონდა. შინაგანად მოვემზადე და ჩემი მიზნების განსახორციელებლად განვეწყვეტარჩიე, ყოფილიყო დაძაბულობა, რთული შეხვედრები, გულსატკენი და საწყენი მიმართვები, მაგრამ თქმულიყო სათქმელი. მე ჩემი ნაფიქრალი სასამართლო კორპუსამდე უნდა მიმეტანა. ეს პროცესი, დანამდვილებით, შედგა. საჯარო შეხვედრებს თავისი მიზანი ჰქონდა, დაძაბულობის მიუხედავად, დავახლოებოდით ერთმანეთს, დამერწმუნებინა ისინი, რომ მე ერთპიროვნულად არაფერს გადავწყვეტ, რომ ჩემს მიერ წარდგენილი ყველა სარეფორმო წინადადება სასამართლო კორპუსის გადასაწყვეტია, რომ მე არ ვიყავი მათი მტერი, თუმცა, ვერც საზოგადოების მტერი ვიქნებოდი.

სასამართლოს დამოუკიდებლობა პრივილეგია არ არის, ეს ანგარიშვალდებულებაა, — აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ფიქრობს, რომ დღეს მოწინააღმდეგეთა და მას შორის სიმშვიდეა, ვითარება ეთიკურია და ურთიერთობა გაწონასწორებული, რაც იმის იმედს აძლევს, რომ პრობლემათა დაძლევა შესაძლებელია, თუმცა, არც იმის ილუზია აქვს, რომ სასამართლო კორპუსი მთლიანად მისი თანამოაზრეა.

ამბობს

— დიახ, მოწინააღმდეგე მეტი მყავს, ვიდრე მომხრე, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შინაგანად თანამიგრძნობენ. ჩემი სურვილია, სასამართლო კორპუსს სჯეროდეს, რომ ის, რასაც რეფორმა ითვალისწინებს, საზოგადოებისთვის არის სასარგებლო და ჩვენ საზოგადოების ინტერესებს უნდა მოვემსახუროთ.

ვიდრე ამ პოზიციაზე გავმწესდებოდი საჯარო შეხვედრებზე მეკითხებოდნენ, თუ რას ვუპირებდი იმ მოსამართლეებს, რომელთა მიერ გამრუდებული სამართალი აშკარა და საზოგადოებისთვის ცნობილი იყო? ვუპასუხებდი, რომ მათ თვითონ უნდა შეაფასონ თავიანთი განვლილი სასამართლო პრაქტიკა და თვითკრიტიკულად გადაწყვიტონ თავიანთი მომავალი.მოსამართლეებთან შეხვედრებზეც იგივე გავიმეორე, მაგრამ ამ კრიტერიუმით ვინმეს ღირსეული ნაბიჯი ჯერჯერობით არ გადაუდგამს, თუმცა, ბევრი მოსამართლე რომ ცდილობს, გადააფასოს ურთიერთობები და თავის წარსულ საქმიანობას გადახედონ, ამას ვგრძნობ და ვხედავ. სამწუხაროდ, ისეთი ხელშესახები მაგალითი საზოგადოებას რომ წარვუდგინო, დღემდე არ მაქვს.

— რას იტყვით საქმეთა განაწილების არსებულ სისტემაზე, რომელიც დღემდე აეჭვებს არა მხოლოდ საზოგადოებას, მოსამართლეთა ნაწილსაც? რამდენადაც ცნობილია სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის პაკეტი, ბევრ სხვა საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის შემო-

ღებასაც ითვალისწინებს, რამდენად წაადგება იგი საქმეთა განაწილების პრინციპს?

— ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ყველა სასამართლოში საქმეები რიგითობის მიხედვით ნაწილდება, ამ ჩანაწერის გვერდით კიდევ არის უამრავი ინსტრუქცია და მარეგულირებელი წესი, რომელიც სასამართლოების შიგნით მუშაობს. ამ მიმართულებით ეჭვის მოსახსნელად გამჭვვირვალე სისტემაა შესაქმნელი. რეფორმა ითვალისწინებს საქმეების ელექტრონული წესით განაწილებას. შესაბამისი პროგრამა მინიმუმამდე დაიყვანს როგორც მიკერძოების გამონაკლის შემთხვევებს, ისე სხვა, არარეგულირებად წესების გამოყენებას. მაგრამ ამას სჭირდება ფინანსები, ტექნიკური უზრუნველყოფა, ვფიქრობ, წლის ბოლომდე მის განხორციელებას შევძლებთ.

— საქმეებს ხომ სასამართლოს თავმჯდომარეები ანაწილებენ და, ბუნებრივია, ეჭვიც მათ მიმართ ჩნდება. უნდა განიხილავდეს თუ არა საქმეს უშუალოდ თავმჯდომარე, ანუ უნდა იყოს თუ არა იგი მოქმედი?

— ეს ის პრინციპია, რომელიც მოსვლისთანავე განვახორციელე. მე ვთქვი, რომ არ ვარ მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მე ვარ ერთ-ერთი აქტიური მოსამართლე და, რადგან ამჟამად ვარ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე და ამავდროულად პალატის თავმჯდომარეც, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, მხოლოდ ორიოდე დღის წინათ მომეცა საშუალება დავმჯდარიყავი პროცესზე, როგორც რიგითი მოსამართლე. ამით მე ვანიშნე ქვემდგომი ინსტანციების თავმჯდომარეებს, რომ ისინი არ არიან მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის შემსრულებლები, ისინი გამწესდნენ როგორც მოსამართლეები და ყველაზე ღირსეული სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელებაა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და სავალდებულოც ადმინისტრაციული დანიშნულების კანონის შესაბამისად და სამართლიანად შესრულება, ასევე, წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებაც, მაგრამ თავი და თავი არის სამართლიანობის სამსახური. თუ თვითონ არ ხარ ჩართული ამ პროცესში, მაშინ არ გაქვს არც სამართლებრივი და არც მორალური უფლება, იყო ადმინისტრაციული ფუნქციის მქონეც. ეს რეალობა ძირითადად, მსხვილი სასამართლოების პრაქტიკაა, როდესაც სასამართლოს თავმჯდომარე, დიდი კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარეები არ არიან აქტიური მოსამართლეები.

მოვედი თუ არა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ, პირველ შესასრულებელ პრინციპად ეს გამოვაცხადე. გარკვეულ ეტაპამდე ნებაყოფლობითია, თუმცა, დადგება მკაცრად მოთხოვნის დროც. ამას ალბათ ის მოსამართლეები გაითვალისწინებენ, რომელთაც სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის უფლება ექნებათ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ასევე მიაჩნია, რომ არ უნდა არსებობდეს ისეთი ადმინისტრაციული პოზიცია, რომელსაც ჰქვია პირველი მოადგილე, თანამედროვე ტექნიკური მიღწევებით შესაძლებელი უნდა იყოს ადმინისტრირებისა და ორგანიზაციული საკითხების ეფექტიანად წარმართვა. ისე, რომ ამას არ დასჭირდეს მოსამართლის დიდი ძალისხმევა, თუნდაც სხვა რესურსი, მთელი აქცენტი სამართალწარმოების პროცესზე უნდა გადავიდეს. ეს ცვლილება ჯერ კანონპროექტის სახით არსებობს, კანონად მიღების შემდეგ ის პოზიცია, რომელსაც პირველი მოადგილე ჰქვია, აღარ იარსებებს.

ამბობს

— არავის აქვს უფლება ეცვას მოსამართლის მანტია და მართლმსაჯულებას არ ახორციელებდეს!

— შეცვალა თუ არა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობამ ნინო გვენეტაძე?

ამბობს

— ასეთი რამ არ შემინიშნავს, თორემ აუცილებლად ვიქნებოდი თვითკრიტიკული. პასუხისმგებლობის გრძნობა რომ ერთი ასად მომემატა ამას ვამჩნევ, თუმცა, არ ვწუხვარ, პირიქით, ვცდილობ, ღირსეულად ვიტვირთო და გავართვა თავი.

და გადასწია მეორე პლანზე ნინო გვენეტაძემ ყოველგვარი პირადული თუ ცხოვრებისეული.

კიდევ ბევრ საკითხზე მსურდა საუბარი, კიდევ უფრო მეტი მინდოდა გამეგო მისგან, თუნდაც მედიაზე, რომელსაც დამხმარედ მიიჩნევს, განვლილი ათწლიანი ბრძოლის გზაზე გვერდში დგომას უმადლის და დღესაც ეიმედება, ჯანსაღი კრიტიკით მხარში ამომიდგებიან და ნაკლის დანახვას გამიადვილებენო, მაგრამ დროს თავისი გააქვს... უნდა დავემშვიდობო.

არცერთი აუგიანი სიტყვა საათ-ნახევრის განმავლობაში არც წარსულსა და არც კოლეგებზე, არც ერთი ბოღმიანი თუ სამაგიეროს გადახდის მანიშნებელი ფრაზა. მხოლოდ წუხილი ადამიანთა უგუნურებასა და სიბრიყვის გამო.

2015 წლის აგვისტოს ერთ ცხელ შაბათს მე გავიცანი ჩვეულებრივი ნინო გვენეტაძე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძეც. მივხვდი, ორივე ერთი და იგივე ადამიანი არის: სამართლიანი, პრინციპული და შეუპოვარი, რომელიც არც არავის დაჩაგრავს და არც არავის დაეჩაგვრინება, რადგან დაცემის ტკივილიც ახსოვს და ღირსეულად ადგომის ფასიც იცის.

დაბოლოს ლამის დამავიწყდა მისი ხასიათის კიდევ ერთი უიშვიათესი თვისება: ახსოვდეს მხოლოდ კარგი!

რუსუდან ლორთქიფანიძე
ტელ: 599-33-39-39

◎ რადიო „თავისუფლების“ ეთერით

რას სჩადის რუსი ჯარისკაცი თავის ქვეყნის გარეთ...

12 აგვისტოს რუსმა ჯარისკაცმა, 19 წლის ვალერი პერმიაკოვმა, რომელიც გიუმრიში მდებარე რუსეთის სამხედრო ბაზაზე მსახურობდა, სასამართლო პროცესზე თავი დამნაშავედ ცნო, აღიარა რა სამხედრო ბრალდებები — დეზერტირობა და იარაღთან დაკავშირებული ბრალდება. მაშინ როცა სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება, რადიო „თავისუფლებამ“ თვალი გადაავლო რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების მიერ საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკას.

რუსეთის ათასობით ჯარისკაცი გადის სამსახურს, როგორც რუსეთში უწოდებენ, „ახლო საზღვარგარეთში“, იქნება ეს მოლდავეთის სეპარატისტული დნესტრისპირეთი, ანექსირებული ყირიმი, თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი თუ ტაჯიკეთი. 2009 წლის სექტემბერში სწორედ ტაჯიკეთში მდებარე 201-ე სამხედრო ბაზის წარმომადგენლები — ვიაჩესლავ ჩერნოვი და დმიტრი კუჩმა — დააპატიმრეს სამართალდამცველებმა ტაჯიკი პოლიციელის, კაპიტან ამურ მურადოვის მკვლელობის ბრალდებით. ეს უკანასკნელი საღამოობით დამატებითი შემოსავლისთვის ტაქსაობდა. სასამართლოზე რუსმა ჯარისკაცებმა აღიარეს, რომ მათსა და ტაქსის მძღოლს შორის ჩხუბი სიტყვიერ დაპირისპირებას მოჰყვა.

2012 წლის იანვარში რუსმა სამხედროებმა, რომლებიც სეპარატისტული დნესტრისპირეთისა და დანარჩენი მოლდავეთის საზღვარზე მორიგეობდნენ, მოლდავეთის 18 წლის მოქალაქე მოკლეს, როგორც ადგილობრივი მედია წერდა, იმის გამო, რომ მანქანის საჭესთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი არ დაემორჩილა საგუშაგოზე მდგარი ჯარისკაცების გაფრთხილებას. დაჭრილი ახალგაზრდა საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ამ ინციდენტმა აღაშფოთა კიშინიოვი, რომელმაც მოუწოდა რუსეთს, გაეყვანა თავისი მშვიდობისდამცველები. **„არ არსებობდა მიზეზი ამ ადამიანის მოკვლისა, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ“,** — განაცხადა მოლდავეთის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა ვლად ფილატმა.

რუსი სამხედროების დანაშაულმა არ დაახანა ყირიმში, რომლის ანექსიაც რუსეთმა 2014 წლის გაზაფხულზე მოახდინა. რუსმა ჯარისკაცმა ევგენი ზაიცევმა სასიკვდილოდ დაჭრა უკრაინელი სამხედრო სტანისლავ კარაჩერსკი, რომელიც ანექსირებული ნახევარკუნძულის დატოვებას ცდილობდა. 2015 წლის აპრილში ბრალდებული ზაიცევი სამხედრო სასამართლომ გაასამართლა და ორი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

2015 წლის აგვისტოში ტაჯიკეთში საგარნიზონო-სამხედრო სასამართლომ ორი რუსი ჯარისკაცის საქმის განხილვა დაიწყო. ფიოდორ ბასიმოვსა და ილდარ სახაფოვს ბრალი ედებათ ტაქსის მძღოლ რახმიდზონ ტეშაბოევის მკვლელობაში. ტაჯიკ მძღოლს რუსი სამხედროები ხშირად გადაჰყავდა სახლიდან ბაზაში და უკან. გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთმა ეჭვმიტანილმა ტეშაბოევს 50 ათასი რუსული რუბლი ასესხა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ოქტომბერში რუსეთსა და ტაჯიკეთს შორის ხელი მოეწერა შეთახმებას, რომლის თანახმადაც, რუსეთის ბაზა ტაჯიკეთში 2042 წლამდე დარჩება.

საზღვარგარეთ რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი ყველაზე გახმაურებული დანაშული, ცხადია, სომხეთის ქალაქ გიუმრიში მომხდარი მკვლელობაა.

19 წლის ვალერი პერმიაკოვმა, რომელიც გიუმრიში მდებარე რუსეთის სამხედრო ბაზაზე მსახურობდა, ავეტისიანების მთელი ოჯახი ამოწყვიტა. 12 იანვარს მან მოკლა ოჯახის ექვსი წევრი, ორი წლის გოგონას ჩათვლით. 6 თვის ბიჭუნა მძიმედ იყო დაჭრილი და ერთი კვირის შემდეგ დაიღუპა.

კობა ლიკლიკაძე

◎ გლობალური დათბობის პირისპირ

დედამიწა რომ არ „გადაიწვას!“

დედამიწის კლიმატის საყოველთაო დათბობა პლანეტის მთელ ბიოსამყაროს, მათ შორის ადამიანსაც, არნახულ საფრთხეს უქმნის. მსოფლიო ოკეანის დონის ამაღლება, წყალდიდობები, გვალვები, ტყის ხანძრები, უამრავი ცხოველთა ჯიშის მთლიანად გადაშენება და კიდევ ბევრი სხვა უბედურების თავიდან ასაცილებლად მეცნიერები დიდი ხანია მუშაობენ და, გარკვეულწილად, სახელმწიფოებიც ზრუნავენ. მაგრამ, მრეწველობა ვითარდება, ადამიანის მოღვაწეობის გამო კი, რაც, უწინარესად, სითბური ენერგიის გამოყენებასა და ატმოსფეროში სათბურის ეფექტის გამომწვევი ნახშირორჟანგის უზარმაზარი მასების გაფრქვევას, აგრეთვე ტყეების ფართობების კატასტროფულ შემცირებას, შეიძლება შეუქცევადი პროცესები მოყვეს.

საფრთხე რომ რეალურია, ამას ახალ ათასწლეულში დაფიქსირებული ჰაერის რეკორდულად მაღალი ტემპერატურა მოწმობს, ასევე ციმბირსა და ჩრდილოეთ ამერიკაში მუდმივი გამყინვარების ზონის პოლუსებზე ყინულის მასების დაწყებული ლღობაც მოწმობს.

ამ გლობალურ პრობლემას წლეულს დეკემბერში პარიზის უაღრესად მნიშვნელოვანი გაეროს სამიტი მიეძღვნება, რომელზეც კლიმატის ცვლილებების უმწვავეს ასპექტებს განიხილავენ. არსებული ინფორმაციით, ამ უაღრესად წარმომადგენლობით საერთაშორისო ფორუმზე ის გლობალური ღონისძიებები უნდა დასახონ და გასატარებელ ზომებზე შეთანხმდნენ, რომელთა შედეგად დედამიწაზე კლიმატის საყოველთაო დათბობის დონემ ცელსიუსის ორ გრადუსს არ უნდა გადააჭარბოს.

მართალია, დედამიწაზე გლობალური დათბობის ერთიანი მწყობრი სისტემა შემუშავებული არ არის, მაგრამ ერთი რამ სავსებით ნათელია: ადამიანის სამრეწველო მოღვაწეობას ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივია ისიც, რომ რაც უფრო მძლავრია ამა თუ იმ ქვეყნის მრეწველობა, მით უფრო მაღალია მისი წვლილი დედამიწაზე სათბურის ეფექტის გაძლიერებაში. შესაბამისად, მეტია მისი პასუხისმგებლობა პლანეტის აწმყოსა და მომავალი თაობების წინაშე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მოწინავე ქვეყნების ლიდერები მთელ მსოფლიოში მომავალში გასატარებელ ღონისძიებათა და ახალი რეგულაციების შემოღების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ ცოტა ხნის წინათ წარდგენილი მრავალსაფეხურიანი გეგმა, რომელიც კლიმატური არასასურველი ცვლილებების წინააღმდეგაა მიმართული და ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების მიერ სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების ატმოსფეროში გაფრქვევის მოცულობის შემცირებას ისახავს მიზნად. ამერიკის პრეზიდენტის თქმით, ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც კაცობრიობას კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან საბრძოლველად ოდესმე გადაუდგამს.

— დედამიწაზე კლიმატი იცვლება, რაც საფრთხეს უქმნის ჩვენს უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას და თუ შესაბამისი ზომები დროულად არ გავატარეთ, მალე, შესაძლოა, გვიანიც იყოს, — განაცხადა პრეზიდენტმა.

აგვისტოს დასაწყისში ბარაკ ობამამ მრავალეტაპიანი გეგმის პირველი რეგულაციის შესახებ ოფიციალურად განაცხადა, რომელიც ატმოსფეროში სათბურის გამომწვევი გაზების გაფრქვევას ეხება. ახალი რეგულაციის შესაბაისად, ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სექტორის სამრეწველო ობიექტების მიერ ატმოსფეროში ნახშირჟანგის გაფრქვევა **2030 წლისთვის, 2005 წლის დონესთან შედარებით, 32 პროცენტით უნდა შემცირდეს.**

ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, შარშან ელექტროენერგიის წარმოებაში ქვანახშირის წილი 39 პროცენტი იყო. ახლა რეგულაციის შესაბამისად კი, 2030 წლისთვის ეს მაჩვენებელი 27 პროცენტამდე უნდა შემცირდეს. გეგმის მნიშვნელოვანი ასპექტი ისიც გახლავთ, რომ ყველაფრის პარალელურად წლეულს 28 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს განახლებადი წყაროების, მათ შორის, უმთავრესად, მზისა და ქარის ენერგიების წილი.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ გეგმას აქტიური მოწინააღმდეგეებიც ჰყავთ, უმთავრესად ქვანახშირის მწარმოებლები და ენერგეტიკაში მის მომხმარებელთა ინტერესების გამომხატველი პოლიტიკოსები. იმათ არგუმენტებს შორის ასევეა ენერგოუსაფრთხოების დონის შემცირების, მოხმარებულ ელექტროენერგიაზე საგადასახადო ტარიფების მატების, სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი შემცირებისა და მთელ რიგი სხვა საფრთხე, რაც სავსებით გასათვალისწინებელია არა მარტო მძლავრი, არამედ გაცილებით სუსტი ენერგოსექტორის მქონე სახელმწიფოებისთვისაც.

ოთარ ტურაბელიძე

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №242



კიდევ ერთხელ პაოლოს ფსევდონიმზე

15 აგვისტო პაოლო იაშვილის დაბადების დღეა

ქართულ პრესაში 1915-1924 წლებში გამოქვეყნდა თოთხმეტი ლექსი ხელმოწერით: ელენე დარიანი. ამ ლექსთა ავტორობას პაოლო იაშვილს უდასტურებენ, ამავე წლებში და შემდგომაც, მისივე თანამედროვენი (დაწვრილებით იხ. ელენე დარიანი, ლექსები, თბ., გამომცემლობა „კოლორ-პრინტი“, 2000 წ.).



პაოლო იაშვილის პორტრეტი. კირილე ზდანევიჩის ნახატი

პაოლო იაშვილის შვილიშვილის, მერაგ ნიჟარაძის ოჯახში ინახება გლოკნოტი, რომელშიც პოეტის ხელით ჩაწერილია ლექსები: „დარიანული,“„ცისფერი ქოლგა“ „ანა ახმატოვას“„ფერადი სონეტი“, „პირამიდებში“.







ბლოკნოტის პირველ ფურცელს აწერია: თამარ იაშვილს; შუაში – ელენე დარიანი.

მაშასადამე, ჩვენამდე მოაღწია, ღვთის მადლით გადარჩენილმა პოეტის ავტოგრაფებმა, რომელთა ქსეროასლების ნახვა დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში.

პოეტების ორდენი „ცისფერი ყანწები“ სანდრო ცირეკიძის (1894-1923) გარდაცვალების გამო გამოქვეყნებულ (გაზ. „რუბიკონი“, 1923, ! 12, 31 ივნისი) წერილში აღნიშნავდა: მან „მაინც იმდენი მოახერხა, რომ დააარსა გამომცემლობა „კირჩხიბი“, ჟურნალი „შვილდოსანი“, გამოსცა ახალი მწერლების ანტოლოგია, სტეფან მალარმე, ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“, კოლაუ ნადირაძის „ბალდახინი“, თავისი „მთვარეულები“, გამზადებული ჰქონია დასაბეჭდად ელენე დარიანის ლექსების წიგნი და ქართველი პოეტების ლექსიკონი“.

კონსტანტინე გამსახურდია (1893-1975) წერილში „ტარიელ გოლუა“ 1918 წელს წერდა: „ერთმა ქართველმა კალმოსანმა ერთ-ერთ რუსულ გაზეთში დაბეჭდილ ქართული ლიტერატურის წლიურ მიმოხილვაში საჭიროდ არ ჩათვალა „ტარიელ გოლუას“ ხსენება და კადნიერებით აღსავსე ტონით ქება შეასხა რამდენიმე პორნოგრაფიულ ლექსს თავის მეგობრებისას და საკუთარს, მხოლოდ სხვა პსევდონიმით დაწერილ შაირებს“ (იხ. თხზულებანი, ტომი VIII, 1967, გვ. 152).

„ერთი ქართველი კალმოსანი“ გახლავთ პაოლო იაშვილი, რომელმაც გაზეთში „რესპუბლიკა“ (რედაქტორი ლევან (ლელი) სიმონის ძე ჯაფარიძე – „ცისფერყანწელი“. ზ.ლ.) გამოაქვეყნა (1918, № 140, 3 იანვარი) წერილი „Литературное кольцо Грузии, 1917г.“ – განვლილი წლის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ. აქ წარმოდგენილნი: სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო ყანჩელი, შალვა ამირეჯიბი, ნიკო ლორთქიფანიძე, არისტო ჭუმბაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი, გიორგი ლეონიძე – დახასიათებულნი არიან მათი შემოქმედების ძირითადი მოტივების გათვალისწინებით.

შემდეგ პაოლო აგრძელებს: „Говорить о последних (იგულისხმება „ცისფერყანწელები“. ზ.ლ.) – это говорить о своих лучших друзях и о себе. Но пусть самая сжатая скромность позволить мне сказать о той вессеней надежде, которая наполниаеь меня когда я вникаю в творчестве своих дорогих друзей.

Умная радость раскаленных симфоний Григория Робакидзе, белизна изступленных и измученных двойников Валериана Гаприндашвили, жестые и пурпуные ароматы халдейских напевов Тициана Табидзе, капризная нежность „презрительного дэнди“ Лели Джапаридзе, прокаженные молитвы Колау Надирадзе, трепетное мечтание о „белом князе“ Елены Дариани и красота родственного, обьединяющего вдохновения всех остальных, – вот что отрезвляет мой ум в эти тревожные и полные сомнениями дня“.

მაშ, კონსტანტინე გამსახურდია ადასტურებს, რომ „ელენე დარიანი“ პაოლო იაშვილის „**პსევდონიმია.**“

აქვე წარმოვადგენ პაოლოს თანამედროვე და მისივე წიგნების შემდგენელის (1955, 1959, 1961, 1975 წლები) შალვა დემეტრაძის (1907-1971) ავტოგრაფს:

ტიციან ტაბიძის ქალიშვილმა, ქალბატონმა ნიტამ (1921-2007) მისახსოვრა (17.04.2000 წ.) თავისი დედის, ნინა ალექსანდრეს ასულ მაყაშვილი-ტაბიძის (1897-1965) წიგნი მოგონებებისა „Радуга на рассвете“ (Тб., „Мерани“,1992). აქ, მე-11 გვერდის სქოლიოში ვკითხულობთ: Елена Дариани - Паоло Иашвили. წიგნის ლენინგრადელ რედაქტორს, ნატაშა სოკოლოვსკაიას ამ ფსევდონიმის შესახებ ინფორმაცია ქალბატონმა ნიტამ მიაწოდა.

ახლა მკითხველს ვთავაზობ ერთ ამონარიდს წიგნიდან „მეცხრე მთაც გადავიარეთ“ (თბ., „ნაკადული“, 1978 წ., გვ. 191-192, 197-199):

„ამ ოციოდე წლის წინათ შემოღებული იყო ერთი წესი, – დაიწყო **მინდიამ** (ხაზგასმა ჩემია. ზ.ლ.) – როცა სოფლის მეურნეობის სამუშაოების ტემპი იკლებდა, „გეგმა ვერ სრულდებოდა“, დათქმულ დროისთვის დიდი დაწესებულების ხალხს ჩამორჩენილ რაიონებში აგზავნიდნენ, წადი, დააჩქარებინეო.

ჰოდა მაიაკოვსკის და ვანის რაიონები მერგო. ვიფიქრე, წავალ, გაზაფხულია, ატმით და ტყემლით მორთულ იმერეთს ვნახავ-მეთქი.. მინდვრად გავედი, ზღაპრული გაზაფხული იდგა იმერეთისა. დაგვიანებული გაზაფხულის გამო ერთად ყვაოდა ტყემალი და ატამი, ვაშლი და მსხალი.

„ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი“, – მომაგონდა ტიციანის სტრიქონები.

„ამაღამ მგონი იქნება ქარი,

ვაი დედოფლის ტყემლების ბრალი“...გამოეხმაურა პაოლო იაშვილიც და იყო რაღაც ლირიკული განწყობილება, ან სხვა რა უნდა ყოფილიყო, სადაც ერთად იყო შერწყმული აპრილი და მაისი, სადაც დადიოდნენ ტიციანისა და გალაკტიონის აჩრდილები და ვიმეორებდი ჭაბუკობიდან გამოყოლილ:

ამ მაისს, ამ ივნისს...

ტიციან ტაბიძეზე რომ ლაპარაკობ, არ შეიძლება მის გვერდით პაოლო იაშვილიც არ მოიგონო, ფრიად კოლორიტული პიროვნება და შესანიშნავი პოეტი ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრისა.

პაოლო იაშვილი დაუდეგარი და ბობოქარი ბუნების ადამიანი იყო, დიდი პატრიოტი და ბუნებით საზოგადო მოღვაწე. მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოში „ცისფერყანწელების“ მწერალთა კორპორაცია. პაოლო იაშვილი პარიზში სწავლობდა და საქართველოში რომ დაბრუნდა, თან ჩამოიტანა ევროპის სიმბოლისტების სუნთქვა. სიმბოლისტების ჯგუფი შეიქმნა ქუთაისში, მაშინდელი ჩვენი კულტურის მეორე ცენტრში; ამ ჯგუფში შედიოდნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა კარმელი. „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში მათი ლექსები დაიბეჭდა. ცისფერყანწელებმა გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომელშიც გამოხატეს თავისი კრედო.

მახსოვს, 1916 წელს ქუთაისში ჩავედი. თბილისელებს გვინდოდა იქაურ ახალგაზრდობასთან კონტაქტი დაგვემყარებინა. ერთ-ერთი სხდომის შემდეგ ქუთაისელმა მოწაფეებმა ქალაქში გაგვატარეს. ქუთაისის ცენტრში იყო პატარა ბაღი, რომელსაც ქუთაისელები „გულ-ვარდს“ (ბულვარი) უწოდებდნენ. აი, აქ იყრიდა თავს ქუთაისის ახალგაზრდობა, ქუთაისში ჩამოსული თავადაზანაურობა თუ სხვა. ეს იყო ნამდვილი ძველი „სალაყბო“. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იყო შეკრებილი და ხმამაღლა ყაყანებდა. ჩვენმა გუნდმა, რომელიც ექვსი-შვიდი კაცისაგან შედგებოდა, ჩა-

ლამზირა ჩხეიძის ალბომიდან

დავით თურდოსპირელი დედასთან სალომე ბაქრაძე-ჩხეიძესთან ერთად.

„ჩემო სიხარულო, ჩემო იასამანო, ლამაზი, დაღლილი, ღონეწართმეული ვიწექი, როცა შენი წერილი შემომიტანეს. წერილშივე იდო შენი იები და მე ბედნიერებით დავიწყე სიცილი, რადგან ია შენი სიცილით მიცინოდა“...

„...ჩემო სიხარულო ლამზიკო! გადაგეხვევი და გადაგკოცნი. შენმა წერილმა მომიჯიკჯიკა და გაზაფხული მომიცქრიალდა... უშენოდ ჩემთვის გაზაფხული არ გაზაფხულობს...“

წერილის ადრესატი თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი ქალბატონი **ლამზირა ჩხეიძე** მამის – მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **დავით თურდისპირელის** (ჩხეიძის) არქივზე მუშაობს.

ეს გახლავთ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღები, ეპოქა, გამორჩეული ლიტერატურული ინტერესებით, ადამიანთა ურთიერთობების ისტორიები...

ჩვენი თხოვნით, ქალბატონმა ლამზირამ ჩხეიძეების დიდი ოჯახის ბიოგრაფიაზე მოგვითხრო...

ამ ერთ ოჯახის წიაღში არაერთი ცნობილი, ღირსეული და კეთილშობილი პიროვნება აღიზარდა და ეს ინერცია დღემდე გრძელდება...

მზია და დალი ჩხეიძეები, თურდოსპირელის ქალიშვილები.

ლამზირა ჩხეიძე:

სოფელი ვარდისუბანი. ამ სოფელში ცხოვრობდნენ ანდუყაფარ ჩხეიძე და სალომე ბაქრაძე-ჩხეიძისა. ყავდათ 5 ვაჟი – ლევანი, გიორგი, დავითი, ბაგრატი და ნიკო (ეს ორი ჩვილ ბავშვობაში დაიღუპნენ).

ერთხელ უკვე მამის ანდუყაფარის გარდაცვალების შემდეგ, სალომემ დატოვა ვარდისუბანი და შვილებიანად გადმოსახლდა თბილისში. ცხოვრობდნენ სადღაც, არსენალთან... ცხოვრება მიდიოდა – არეული დრო და გაჭირვება... ეს ასახა თავის წიგნში შემდეგში მწერალმა დავით თურდოსპირელმა. ლევანი ადრეულ ასაკში გაიტაცა რევოლუციამ (იყო სევასტოპოლში), გიორგი და დავითი სწავლობდნენ, თან მწერლობასა და პოეტობას მისდევდნენ, წარმატებულად იბეჭდებოდნენ... გიორგით დაინტერესდა კინოსტუდია და გადაიღეს ორ ფილმში. დავითი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა კიევის უნივერსიტეტში...

ყველას უკვე პირადი ცხოვრება აეწყო. ლევანი და გიორგი დაოჯახდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროს მამა უკვე სტუდენტია. სამხედრო ფორმაც აცვია და შეიარაღებულია ხმლით. ეს ხმალი და ხანჯალი დიდხანს ინახებოდა ჩვენს სახლში და მერე მოგვპარეს...

ლევან ჩხეიძე თელავშია ოჯახით – ჰყავს 6 შვილი. გიორგიმ – აირჩია ფსევდონიმი – ქუჩიშვილი და იმ დღიდან იწოდებოდა **გიორგი ქუჩიშვილად.** ოჯახი – მეუღლე ვასასი, შვილები – ციალა და ბიჭიკო (ნოდარი).

1918-21 წლები... დავით თურდოსპირელი ჩართულია ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ ჟორდანიას და მისი მთავრობის პარიზში გამგზავრების შემდეგ რჩება თბილისში. მამა გახლდათ დამფუძნებელი კრების წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის I აქტზე. რჩება საქართველოში და აქ განაგრძობს თავის მოღვაწეობას: წერს წერილებს, სტატიებს, იკვლევს დუშეთის მაზრას (იბეჭდება გაზეთებში), დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგანმანათლებლო საქმეს.

იწყებს მოღვაწეობას საქართველოს სკოლებში, რაიონებში თელავი, წინანდალი, ფშავი, სვანეთი, ველისციხე, მუკუზანი...

პარალელურად მუშაობს საბავშვო ლიტერატურაშიც...

მამას ჰქონია ფსევდონიმები – ტირიფი, სალომეს შვილი... მაგრამ ბოლოს უკვე დავით თურდოსპირელად იწოდებოდა (სოფ. ვარდისუბანში ჩამოდიოდა მდინარე **თურდო**).

ლევან ჩხეიძე მრავალშვილიანი იყო და აქედან – თავისთვად ცხადია, ჰყავს დიდი შთამომავლობა და აქაც, მისი შვილებიც **ქეთინო** და **ჟორა** პოეზიით და თეატრით იყვნენ გატაცებულნი.

გიორგი ქუჩიშვილის ქალიშვილი **ციალა ჩხეიძე** შესანიშნავი ფილოლოგი გახლდათ. თარგმნიდა კლასიკურ ლიტერატურას. მათ შორის თარგმნა ფეოდორ დოსტოევსკიც. ვაჟი **ნოდარ ჩხეიძე** – თეატრმა გაიტაცა. დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი და წლების მანძილზე მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში. იყო გამორჩეულად ნიჭიერი, წარმატებული მსახიობი. არაერთ როლთა შორის ითამაშა ფრანც მიორი, ჰიტლერი... პარალელურად ასწავლიდა თბილისის პიონერთა სასახლის დრამატულ წრეში.

ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძის შვილი გახლავთ გამოჩენილი რეჟისორი **თემურ ჩხეიძე...** მისი სამი ქალიშვილიდან **ეკა ჩხეიძე** ცნობილი მსახიობია, **თეონა ჩხეიძე** – ძალიან ნიჭიერი პიანისტი, მშვენიერი **დეიკო ჩხეიძე** – ინგლისურ ენას დაეუფლა... და წინ დიდი პერსპექტივები აქვს...

მამაჩემს **დავით ჩხეიძე-თურდისპირელს** უთქვამს. **მე სიყვარულის გარეშე არ შემიძლიაო...**

პირველი სასიყვარულო რომანი კიევში სწავლის დროს ეწვია... იყო ასეთი გოგონა – პიანისტი... რომელსაც სამოქალაქო ომის დროს, ოჯახთან ერთად, მოუხდა ქვეყნის დატოვება.

მაშინ მამა ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა პირველი სიყვარული მატარებელზე გააცილა. შეხვედრა აღარ ეწერათ. მამა მას შემდეგ ნოველებს უძღვნიდა... ლიტერატურაში „ფრიდრიკოდ“ მონათლა...

მოგვიანებით მამამ შექმნა ოჯახი.. მისი მეუღლე ქალბატონი **ნინო ხომასურიძე** მძიმე ავადმყოფობის შემდგომ გარდაიცვალა... გადის დრო და მამა ისევ თხოულობს ქალს. ეს გახლავთ ქალბატონი **ელენე მიქელაძე,** გაუჩნდებათ ორი მშვენიერი გოგონა **მზია** და **დალი...**

მამას პირადი ცხოვრება იყო რთული, მამა გახლდათ მუდამ სიყვარულით აღსავსე... მაგრამ რაღაც ტრაგიკულიც იყო ამაში... როცა ვამბობ, რომ მამას **„ყავდა ოჯახები“,** ყველა მათგანისადმი პატივისცემას და მოწიწებას გამოვხატავ...

მამას უკანასკნელი მეუღლე დედა გახლდათ – **სანია კრემენსკაია,** პოლონელი ოფიცრის ქალიშვილი...

მამას სულ სამი ქალიშვილი ჰყავდა: უფროსი მზია (ექიმი), საშუალო – დალი (კომპოზიტორი), ის კონსერვატორიაში მოღვაწეობს. ქმნის მუსიკალურ ნაწარმოებებს დიდებისთვისაც და ბავშვებისთვისაც. დაწერილი აქვს ოპერა „ფიფქია“. მესამე ქალიშვილი მე გახლავართ...

ოდესღაც მსურდა დედასავით სამოთოინჟინერი გავმხდარიყავი, მაგრამ მან სხვა ტალანტი დაინახა ჩემში... დედის კატეგორიული მოთხოვნით, თეატრალურ ინსტიტუტში შევედი... 1952 წლიდან 2003 წლამდე რუსთაველის თეატრში ვმუშაობდი... ვიდექი სხვა თეატრების სცენაზეც: ს. ახმეტელის თეატრში, ქვემო ქართლის თეატრში... ვმოღვაწეობდი რადიოში, კინოსტუდიაში... გამორჩეულად მიყვარს მხატვრული კითხვა...

...ერთხელ მზია, დალი და მე წინანდლის სკოლაში აღმოვჩნდით (მამა იქ მუშაობდა ერთ დროს). გავიცანით ერთმანეთი და გავხდით „Три сестры“ (სამი და)...

წლები გადის... მიდიან უახლოესი ადამიანები...

ახლა დავრჩით მე და მზიას შვილები და ქალიშვილები... **თამარი** ექიმია, **დავითი** – ინჟინერი... შვილიშვილები ჯერ სწავლობენ და მერე, დარწმუნებული ვარ, ჩხეიძეების ოჯახურ ტრადიციებს გააგრძელებენ: **უყვარდეთ ერთმანეთი და, რა თქმა უნდა, ძვირფასი წინაპრებიც...**

ლამზირა ჩხეიძე მამასთან ერთად.

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

უარა ათიოდე ახალგაზრდას. ჩვენზე უფროსები იყვნენ. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთმა ახალგაზრდამ. ჯგუფის შუაში იდგა, ყველაზე მაღალი იყო, ვეებერთელა თვალებს აბრიალებდა და ამხანაგებს რაღაცას უყვებოდა.

– ვინ არიან? – შევეკითხე ერთ-ერთ ჩვენს ახალ ამხანაგს.

– ცისფერყანწელები.

შევჩერდი და გამომწვევად ვიკითხე:

– ესენია? – და თან გავიცინე.

დიდთვალება ჩემკენ გამოეშურა მუშტებშეკრული.

– რა „ესენი?!“ – და ასწია ხელი, მაგრამ ერთი ქუთაისელი ამხანაგი ჩადგა ჩვენ შორის და რაღაც უთხრა.

– თუ სტუმარია, ისე მოიქცეს, როგორც სტუმარს შეჰფერის, – და გაბრუნდა.

მართალია, მეც ავიწურე, მაგრამ ვფიქრობ, მომერეოდა, თანაც სირცხვილი წამომყვებოდა, „სამოყვროდ“ ჩავედი და პირველ დღესვე ჩხუბს კი გადავეკიდე.

ჩემსკენ წამოსული დიდთვალება პაოლო იაშვილი იყო. შემდეგ, როდესაც თბილისში ერთმანეთს შევხვდით, დავმეგობრდით და სიცილით ვიგონებდით ჩვენს ყოყლოჩინობას“.

<u>მინდია</u>, რომელიც ამ ამბავს თავის თანამშრომლებს მოუთხრობს, გახლავთ ზემოთ დასახელებული წიგნის ავტორი – ნიკო კეცხოველი (1897-1982), რომლისთვისაც მისტიფიკაცია, როგორც ლიტერატურული ხერხი უცხო არ იყო და, რომელიც ლექსის – „ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად“ (იხ. გაზ. „ბარრიკადი“, 1920, ! 2, 25 ოქტომბერი) – ავტორობას უდასტურებს პაოლო იაშვილს.

სრულიად საქართველოს მწერალთა ფედერაციის <u>წმენდის</u> (ხაზგასმა ჩემია. ზ.ლ.) კომისიის ოქმის მიხედვით მწერალთა რიგებიდან გარიცხეს (9.05.1931): პავლე ინგოროყვა, სიმონ ჯანაშია, სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა შარაშიძე (თაგუნა), (ასეა ოქმში. ზ.ლ.), ირაკლი ტატიშვილი, დიტო უზნაძე (ასეა ოქმში. ზ.ლ.), ლელი ჯაფარიძე, სიკო დოლიძე, კოკი აბაშიძე, იოსებ იმედაშვილი და კიდევ ბევრი დამსახურებული მოღვაწე, მათ შორის - ნიკო კეცხოველი და კონსტანტინე გამსახურდია (ლიტერატურის და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, საქმე 12, ფურც. 2). დაინტერესებული მკითხველი ამ ინფორმაციას გაეცნობა იმავე წლის გაზეთში – „კომუნისტი“.

პაოლო იაშვილის თანამედროვე გახლდათ ლევან ნიკიფორეს ძე ასათიანი (1900-1955) – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1925 წ.), ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ლიტერატურისმცოდნე, ავტორი სამეცნიერო წიგნებისა (იხ. ქსე, ტ. I, 1975, გვ. 621). იგი ახალგაზრდობაში წერდა ლექსებს. ერთი მათგანი „სეზონი უიმედო მგზავრობის“ გამოქვეყნებულია „ცისფერყანწელთა“ ჟურნალში „მეოცნებე ნიამორები“ (1922, ! 7, ნომბერი). მისი ვაჟი, გურამი (1928-1982) – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ლიტერატორი და კრიტიკოსი, 1981 წელს წერდა:

„პაოლო იაშვილის „სტიქია უაღრესი არტისტიზმია, რასაც ლოგიკურად თან სდევს მომხიბლავი პოეტური <u>მისტიფიკაცია</u> (ხაზგასმა ჩემია. ზ.ლ.) – შეყვარებული ქართველი ქალის სახე, რომელსაც მთელი სატრფიალო ციკლი („დარიანული“) მიეწერება“ (იხ. „სიყვარულის წიგნი“, თბ., „საბჭ. საქ.“, 1981, გვ. 413-414).

მეცნიერები თვლიან, რომ ლიტერატურული მისტიფიკაცია, თუკი ის ვირტუოზულადაა შეფუთული (დამალული), მისტიფიკატორის ბიოგრაფიას უნიკალურს ხდის.

პოეტის ამ უნიკალურობაზე მიუთითებდა სანდრო ცირეკიძე წერილში „პორტრეტები“: „პაოლო იაშვილმა გამოიყვანა პოეტი ქალი ელენე დარიანი და ძვირფასი ქვების ნათელი ფერებით გადაშალა ეროტიკული ლირიკა. დირიჟორი ყველგან – პაოლო იაშვილი არის გაბედული არხიტექტორი ორდენის. ატლანტივით <u>ორივე ხელით</u> (ხაზგასმა ჩემია. ზ.ლ.) უჭირავს „ცისფერი ყანწების“ სიმძიმე. ფარშევანგების წინამძღოლის ყივილი კიდევ შეაშფოთებს ქართულ ლიტერტურას“.

აკი შეაშფოთა კიდეც: XXI საუკუნის ფსევდომეცნიერები, ფსევდოჟურნალისტები და ლიტერატურული კრიტიკის ერთი სტუმარი (სანდრო ცირეკიძის გამოთქმა. ზ.ლ.) – პროფესიით კბილის ექიმი, რომლებმაც პოეტის დარიანული ლექსების ავტორად სენილიური ფსიქოზით დაავადებული ქალი მიიჩნიეს და მის ნაბურჭალევს წამდაუწუმ აქვეყნებენ. მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს კი შევახსენებ: 1937 წლის 22 ივლისს გასროლილი ტყვია მწერალთა სახლში,

„სადაც პაოლოს დასხლეტილ ჩახმახს
შერჩა სიცივე ნატიფი ხელის...“ (ლაშა თაბუკაშვილი) – საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. მსგავსი პრეცედენტის მოძიება გაჭირდება.

ზეინაბ ლომჯარია.
16.07.2015

P. S. სოფელ არგვეთის წმიდა გიორგის ეკლესიის ჩანაწერების მიხედვით, პაოლო დაიბადა არგვეთში 1892 წლის 2 აგვისტოს. მონათლეს 7 აგვისტოს. ნათლია - აზნაური სვიმონ იოსების ძე აბაშიძე. ნათლობა შეასრულა მღვდელმა სპირიდონ აბრამიშვილმა. მეტრიკულ ჩანაწერებში თარიღები, ცხადია, ძველი სტილითაა ჩაწერილი. ახალი სტილით კი - პოეტი 15 აგვისტოს დაიბადა. ამ თარიღს ეძღვნება ეს წერილი.

ზ. ლ.
20.07.2015

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ
(ავტოტრანსპორტი)

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. რეჩხი), შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 5 მაისის №5 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო) აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე“-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ტოიოტა ტაკომა	SSD-242	1997	5355	500	50	20	გალი
2	ოპელ ვექტრა	VNV- 724	1998	3060	300	30	20	გალი
3	ფორდ ტრანზიტი	LIK-368	1995	4590	450	45	20	გალი
4	კაზ–4540	A 287 PO	1999	765	75	20	10	გალი
5	გაზ 24	A 637 AH	1982	306	50	10	5	გალი
6	ოპელ ვექტრა	CAI 638	1990	1530	150	30	10	გალი
7	ა/მ კოლხა სატვირთო	A 329 PO	2000	2677	250	30	15	გალი
8	კაზ 4360 სატვირთო	A 289 PO	1998	153	20	10	5	გალი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“, ს/კ 251716362

სს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCBGE22; ანგ. N GE50TB7808236030100001

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2015 წლის 14 აგვისტოს 10 სთ-დან 2015 წლის 20 აგვისტოს 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 20 აგვისტოს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ვარდნილჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდად წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

– „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

– აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის – ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

– სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 577 736952, 577 434493, 595 227050

შპს „ვარდნილჰესების“ კასკადის აუქციონის მომწყობი კომისია

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი” 2015 წლის 15 აგვისტოდან აცხადებს აუქციონს ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ხიდური ამწის რეალიზაციის შესახებ

ლოტი №1:

ხიდური ამწე **50/12,5** (გამოშვების წელი – 1990) – სავარაუდოდ 35 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 350 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე” ლოტის ღირებულების 10%-ის ოდენობით (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ-ს ჩათვლით შემდეგ რეკვიზიტებზე:

USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

GEL-Account: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი” ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი”, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

დოლარის ლარში გაანგარიშება მოხდება აუქციონის ჩატარების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

წაგების შემთხვევაში მონაწილეს „ბე” დაუბრუნდება უკან.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე” არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, 10^{00} – დან 13^{00} – საათამდე (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2015 წლის 19 აგვისტოს 15^{00} საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ (მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით: მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი).
2. „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დედანი).
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 14 30 88 33, 5 93 922 802, 5 77 003 707

სს „ელმავალმშენებელის“ მუდმივმოქმედი საკონკურსო და სააუქციონო კომისია.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87

◎ სულიერება

პირველმოწამე რაჟდენ სპარსი (გაქრისტიანებული), რომელიც სოფელ წრომს აღესრულა

16 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ვახტანგ გორგასლის თანამოღვაწეს, მისი მეუღლის გამზრდელს.

...ცნობილია, რომ რაჟდენ სპარსი ვახტანგ გორგასლის მეუღლის, ირანის შაჰის ასულის გამზრდელი იყო. ირანელების წინააღმდეგ ვახტანგ გორგასლის ომის დროს გაქრისტიანებული რაჟდენი ტყვედ ჩაუვარდა ირანელებს. შაჰმა მოსთხოვა ქრისტიანობის უარყოფა. მიუხედავად ტანჯვა-წამებისა, რაჟდენი არ დაუბრუნდა ცეცხლთაყვანისმცემლობას და „აღირჩია წარუვალი იგი დიდებაი“. მაშინ შაჰმა ის ლაგზავნა წრომში დაბანაკებულ ირანელთა ლაშქრის მეთაურთან, რომელმაც რაჟდენი სიკვდილით დასაჯა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვახტანგ გორგასლის ინიციატივით რაჟდენის ნეშტი ნიქოზის ეკლესიაში გადაასვენეს. შემდგომში ვახტანგმა ეს ეკლესია საეპისკოპოსო კათედრად აქცია.

გიული ლიპარტია

◎ „იავნანა“

საქველმოქმედო გალა-კონცერტი საოპერო ვარსკვლავთა მონაწილეობით

სტრასბურგის საკონცერტო დარბაზში – STRASBURG CONVENTION CENTRE 25 სექტემბერს, 20:00 საათზე, პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ ორგანიზებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პატრონაჟით, ქართველი საოპერო ვარსკვლავები საქველმოქმედო გალა-კონცერტს გამართავენ. პროექტის მხარდამჭერია ასოციაცია „Humanitaire „Espoir 2008“.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში აღიარებული ქართველი სოლისტები – ნინო მაჩაიძე (სოპრანო), ანიტა რაჭველიშვილი (მეცო-სოპრანო), ოთარ ჯორჯიკია (ტენორი), ბადრი მაისურაძე (ტენორი), ლადო ათანელი (ბარიტონი), პაატა ბურჭულაძე (ბანი), საქართველოს სახელმწიფო ეროვნული სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი და მუსიკალური ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაჭველი.

საქველმოქმედო კონცერტით შემოსული თანხა ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მოხმარდება.

ინტერპრესი



◎ თქვენთის მშობლებო

ზაფხულის საფრთხე ჩვენი პატარებისთვის

მზის დამწვრობები ჭარბი ულტრაიისფერი გამოსხივების შედეგად წარმოიშვებიან, რომელიც ზაფხულში ყველაზე ინტენსიური 11-დან 16 საათამდე პერიოდშია. ამ დროს ბავშვები უმჯობესია გრილ ოთახში ან ჩრდილში იყვნენ.

თუკი დაცვითი ზომების მიუხედავად ბავშვს მზეზე კანი მაინც დაეწვა, მშობლებს აუცილებლად უნდა შეეძლოთ პირველი დახმარების გაწევა. კერძოდ:

● კანის გაწითლებული უბნები გრილი მტკნარი წყლით მობანეთ, ზედ სველი პირსახოცი ან აპკი დაადეთ. შეგიძლიათ ბავშვს გრილი აბაზანა მიაღებინოთ, წყალში კი საჭმლის სოდა და გვირილის ნახარში დაუმატეთ.

● ფრთხილად შეამშრალეთ სველი დამწვარი კანი და დამწვრის საწინააღმდეგო საცხი წავუსვათ: პანტენოლი, ოლაზოლი, ლეგრაზოლი – ყველა მათგანს ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება აქვს.

● სამკურნალო პრეპარატების უქონლობის შემთხვევაში, იხმარეთ ხალხური საშუალებები: დამწვარი უბნები დაამუშავეთ მაწვნით, ხაჭოთი.

● დიდი ოდენობით ასვით ბავშვს გამაგრილებელი სასმელი, ტკივილის გრძნობის შესამცირებლად შეგიძლიათ დაალევინოთ პარაცეტამოლი ან ნუროფენი, ასევე ანტიჰისტამინური პრეპარატები (ფენისტილი, კლარიტინი, ზოდაკი), რომლებიც კანის შეშუპებასა და ქავილს ხსნიან.

● თუ ბავშვის კანი არა მარტო გაუწითლდა, არამედ შეშუპდა კიდეც და წყლულები გაუჩნდა, ეს დამწვრობის მძიმე ხარისხის ნიშანია, რაც აუცილებლად ექიმის კონსულტაციას, ზოგჯერ კი, სულაც, ჰოსპიტალიზაციას საჭიროებს.

● ნურასოდეს გახვრეტთ წყლულებს, რათა ინფექცია არ შეიტანოთ, ხოლო თუკი წყლული თავისით გასკდა, დამწვრობის ზედაპირს დაქტერიციდული საცხი წაუსვით და ანტისეპტიკური სახვევი დაადეთ.

● დამწვრობის სრულ მოშუშებამდე ბავშვი მზეში ყოფნას უნდა მოარიდოთ. სასეირნოდ რომ გაიყვანთ, აუცილებლად ნატურალური ქსოვილის თავსუფალი გრძელსახელოებიანი სამოსელი ჩაიცვით.

ექიმს აუცილებლად უნდა მიაკითხოთ თუ:

დამწვარი ბავშვი ერთ წელზე ნაკლები ასაკისაა, რადგან მისი კანი ულტრაიისფერი გამოსხივებისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა;

დამწვრობის ფართობი საკმაოდ დიდია;

კანზე წყლულები წარმოეშვა;

კანზე წყლულები წარმოიშვა სხეულის ტემპერატურა 30°ს გრადუსზე მეტია;

ბავშვი თავს იტკიებს, აღებინებს.

◎ ვინ შეცვლის სიჭინავას?

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები 3 ოქტომბერს გაიმართება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასკომის სხდომა გაიმართა, სადაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების თარიღი გახდა ცნობილი.

ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები 3 ოქტომბერს გაიმართება.

არჩევნებში მონაწილეობის მსურველებს კანდიდატურების წარდგენა უკვე დღეიდან შეეძლებათ. არჩევნების გამართვამდე ფედერაციას ისევ ზვიად სიჭინავა უხელმძღვანელებს.

ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი აქამდე საჯაროდ მხოლოდ ორმა კანდიდატმა გამოხატა: სფფ-ის ამჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ და ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ლევან კობიაშვილმა.

◎ ჭიდაობა

თავისუფლების ჯერიც დადგა



ბრაზილიაში მიმდინარე ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატში ქართველმა „კლასიკოსებმა“, როგორც გაუწყეთ, ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. 15-16 აგვისტოს სარბიელი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმობა. **საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს:** რობერტ დინგაშვილი (50), ედემ ბოლქვაძე (55), გიორგი სულავა (60), ავთანდილ კენჭაძე (66), ტარზან მაისურაძე (76), ირაკლი მწითური (84), გიორგი ჩხარტიშვილი (96) და ბექა კანდელაკი (120). მთავარი მწვრთნელია გიორგი გოგშელიძე. მას ეხმარებიან დავით ოთიაშვილი, გელა საღირაშვილი და კობა კაკალაძე. ამ გუნდმა ევროპის წლევანდელ პირველობაზე ოთხი მედალი დაიმსახურა. მესამე ადგილებზე დინგაშვილი, კენჭაძე, მაისურაძე და ჩხარტიშვილი გავიდნენ.

გივი გაგუა

◎ ჭადრაკი

მესამე რაუნდს თბილისი უმასპინძლებს

ფიდეს მოჭადრაკე ქალთა 2015-2016 წლების გრან პრის გათამაშება ოთხრაუნდიანი იქნება. ეს შეჯიბრებები მონტე კარლოში (2015 წლის 2-16 ოქტომბერს), ირანულ კიშში (2016 წლის თებერვალში), თბილისსა (2016 წლის მაისში) და ჩინურ ჩენგდუში (2016 წლის ივლისში) გაიმართება. სამი ეტაპის ჯამში გამარჯვებული 2016 წელს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ტიტულის მფლობელს გაეჯიბრება.



ტურნირში 16 დიდოსტატი ჩაებმება. ათი მათგანის ვინაობა ცნობილია. ესენი არიან: მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰოუ იფანი (2671), ცზიუ ვენძიუნი (2542, ორივე — ჩინეთი), მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი მარია მუზიჩუკი (2528), ანა მუზიჩუკი (2549, ორივე — უკრაინა), ჰამპი კონერუ (2585), ჰარიკა დრონავალი (2509, ორივე — ინდოეთი), 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი ნატალია პოგონინა (1460), ევროპის ორგზის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (2531, ორივე — რუსეთი), ევროპის ორგზის ჩემპიონი პია კრამლინგი (2512, შვედეთი) და ნანა ძაგნიძე (2573, საქართველო). პირველი სათადარიგოა ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი). ტურნირის ოთხ მონაწილეს გრან პრის ეტაპების მასპინძელი ქვეყნები, ორს კი ფიდეს პრეზიდენტი დაასახელებს.

თამაზ პატარაია

◎ წყალბურთი

ოთხი ტური მიილია

საქართველოს 15-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები (გიორგი ბარაბაძე, კახა სამყურაშვილი, ნიკოლოზ იმნაიშვილი, თემურ ჭეიშვილი, ნიკოლოზ სადუნიშვილი, დავით ცხაკაია, გიორგი წულუკიანი (კაპ.), ალექსი ცოტაძე, გურამ კუჭუაშვილი, გიგი ქათამაძე, ლევან ხოხაშვილი, გიორგი ნარეშელაშვილი, გიორგი ცხვედიანი, მწვრთნელები: რევაზ ჩომახიძე, თამაზ კუტივაძე, ირაკლი ბაქრაძე) სერბეთში თანატოლთა საერთაშორისო ტურნირში — დარკო ცუკიჩის თასის გათამაშებაში მონაწილეობს. ჩვენს ბიჭებთან ერთად 13 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძვიან საპრიზო ადგილებისთვის. ბ ჯგუფში, სადაც ქართველები თამაშობენ, შვიდი გუნდი ეცილება ერთმანეთს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. უკვე გაიმართა ოთხი ტური. გაუწყებთ ამ შეხვედრათა ანგარიშებს:

I ტური. სინგაპური-საქართველო 6:23, იტალია — ბულგარეთი 33:2, თურქეთი — გერმანია 11:10.

II ტური. ბულგარეთი — თურქეთი 2:13, საქართველო — იტალია 2:15, ჩერნოგორია — სინგაპური 32:1.

III ტური. ბულგარეთი — საქართველო 1:16, თურქეთი — სინგაპური 23:3, გერმანია — ჩერნოგორია 8:17.

IV ტური. ჩერნოგორია — ბულგარეთი 29:1, სინგაპური — გერმანია 1:40, იტალია — თურქეთი 16:11.

ოთხი ტურის შემდეგ: ჩერნოგორია, თურქეთი, იტალია — 9-9, საქართველო — 6, ბულგარეთი, გერმანია — 3-3, სინგაპური — 0 ქულა.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: საქართველოს 15-წლამდელ წყალბურთელთა ნაკრები.

◎ ავტოსპორტი

ფელიპე მასამ „უილიამსის“ მოლოდინს გადააჭარბა

„უილიამსის“ ფ 1-ის გუნდის ტექნიკური დირექტორი პეტ სიმონდსი ამბობს, რომ ფელიპე მასამ გუნდის მოლოდინს გადააჭარბა. ბრაზილიელ პილოტს 2008 წელს ტიტულამდე ერთი ქულა დააკლდა, მომდევნო სეზონში კი უნგრული დიდი პრიზის კვალიფიკაციის რბოლის დროს მომხდარ ავარიაში თავის ტვინის უმძიმესი ტრავმა მიიღო, გადარჩა და კარიერაც გააგრძელა, თუმცა, ძველი ფორმის აღდგენას კარგა ხანს ვერაფრით ახერხებდა.

გასული სეზონიდან მან „ფერარი“ დატოვა და „უილიამსში“ გადაბარგდა. სწორედ აქედან მოყოლებული, ის კვლავ ტოპ პილოტად მოგვევლინა. სეზონის ბოლოს ის და თანაგუნდელი ვალტერი ბოტასი, რომელმაც შესაძლოა მომავალი სეზონიდან „ფერარიში“ გააგრძელოს თავისი კარიერა, ორმა ქულამ დააშორა.

„როცა ჩვენ ფელიპესთან კონტრაქტი გავაფორმეთ, პირადად მე ძალიან გამიხარდა, რადგან ვიცი, რომ ვისაც ფერნანდო ალონსოსთან პაექრობა შეუძლია, თავადაც ძალიან კარგი პილოტია. სწორედ ასეთია ფელიპე. მას შეუძლია ფერნანდოსთან ბრძოლა. თუმცა, მეც კი ძალიან გაოცებული ვარ იმით, თუ რა კარგად შეეწყო ფელიპე გუნდს. როცა მან ჩვენგან ყურადღება და პატივისცემა იგრძნო, გაცილებით უკეთესი შედეგები მოგვცა, ვიდრე მისგან ველოდი“, — ამბობს სიმონდსი.

მასა ფორმულა 1-ში მე-13 სეზონს ატარებს, ბოტასის ანგარიშზე კი მხოლოდ მესამე სეზონია და სიმონდსი დარწმუნებულია, რომ ფინელს გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია. „მე რომ გუნდში მოვედი 2013 წლის ბოლოს, მაშინ ვალტერის უჭირდა. ამის მიზეზი იყო მანქანა, რომელიც ძალიან ძნელად იმართებოდა, თან გუნდს იმ დროს უჭირდა. ამიტომ მე მის სადებიუტო სეზონად 2014 წელს მივიჩნევ. რა თქმა უნდა, პირველ სეზონში ბევრი რამ ისწავლა, მაგალითად ტრასები. მაგრამ ფ1-ში რბოლა მარტო ტრასები არაა. მას დიდი პროგრესი აქვს, რაც ჯერაც გრძელდება. ის ძალიან კარგია ანალიტიკაში და ამ მხრივ კიდევ მოუმატებს. ჩვენი პილოტებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ისინი კარგად ეწყობიან ერთმანეთს და ძალიან კონკურენტუნარიანები არიან. მათ დიდი წვლილი შეაქვთ გუნდის მიღწევებში“, — დასძენს სიმონდსი.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

შაკირას წარსულში იქექებიან

კატალონიის „ბარსელონას“ მცველის ხერარდ პიკეს ცოლი, ცნობილი კოლუმბიელი მომღერალი შაკირა, რა თქმა უნდა, ასურეთის მეფის უმწიკვლო ქალიშვილი არ არის და არც აქვს ამაზე პრეტენზია. ისიც ცნობილია, რომ ხერარდს სანამ შეხვდებოდა, მანამდე საკმაოდ ქარიშხლიანი სატრფიალო რომანები აქვს გამოვლილი.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველაფერი ცნობილია და „არა არს დაფარული რომელიც არა განცხადდეს“, შაკირა მაინც ძალიან გაანაწყენა ერთ-ერთმა ესპანურმა ბულვარულმა ჟურნალმა, რომელმაც კოლუმბიელი მომღერლის წარსული ამბები ერთ სტატიაში გამოამზეურა და ამ სტატიამ საკმაოდ ფართო სკანდალიც გამოიწვია.

შაკირას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ხერარდ პიკე საერთოდ არ აქცევს ყურადღებას ასეთ სკანდალებს და ყოველთვის ერიდება ბულვარული პრესის კითხვას, იგი მაინც ძალიან არის გაბრაზებული, რადგან მისი აზრით, სტატია ნამეტნავად პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა. მომღერალი ჟურნალისათვის სასამართლოში ჩივილს არ აპირებს, მაგრამ იმას კი იქადნება, ამიერიდან ამ გამოცემის ფურცლებზე ჩემთან ინტერვიუს ვეღარასოდეს ნახავთო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

რივალდო მიდის

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი რივალდო ფეხბურთიდან კიდევ ერთხელ მიდის. 43 წლის შემტევს დღეს „სტადიო რომილდო ფერეირაზე“ „ლუვერდენსის“ წინააღმდეგ გასამართ მატჩში გააცილებენ.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და 1999 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი აქტიურ საფეხბურთო ცხოვრებას მიმდინარე წლის ივნისში დაუბრუნდა და „მოჯი მირიმში“ ჩაირიცხა, სადაც თავის 20 წლის შვილ რივალდინიოსთან ერთად თამაშობდა. ისიც აღსანიშნავია, რომ მამა-შვილმა ერთ-ერთ მატჩში გოლის გატანაც მოახერხეს.

გიორგი შოთაძე

◎ ორი ერის ტრაგედია

ძმათამკვლელი ომის წლისთავი

23 წლის წინათ აფხაზეთში ომი დაიწყო

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში, რკინიგზაზე წესრიგის დასამყარებლად საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები შეიყვანეს, რასაც საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა.

სახელმწიფო საბჭოს თამჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მტკიცებით, ინგირი-სოჭის სარკინიგზო მონაკვეთზე წესრიგის დამყარების გეგმა მან პირადად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბასთან შეათანხმა, მაგრამ როცა ქართული ქვედანაყოფები აფხაზეთში შევიდნენ, არძინბას მიერ უკანონოდ შექმნილმა ე.წ. აფხაზურმა გვარდიამ ქართულ შენაერთს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეიში მდებარე საგზაო პოლიციის საგუშაგოზე ცეცხლი გაუხსნა. საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული პირველი მსხვერპლი სწორედ ამ საგუშაგოზე მომხდარ შეტაკებას უკავშირდება.

14 აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ სოხუმის ადგილობრივი ტელევიზიით აფხაზეთის ხალხს სამამულო ომის დაწყება აუწყა და ადგილობრივ შენაერთებსა და აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჩართულ საზოგადოებას თავ-თავიანთი პოზიციების დაკავებისკენ, ხოლო ოფიციალურ თბილისს სახელმწიფო საბჭოს ჯარების აფხაზეთიდან გაყვანისკენ მოუწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული შენაერთები ქალაქებში არ უნდა შესულიყვნენ, ეროვნული გვარდიის სარდლის, გენერალ თენგიზ კიტოვანის შენაერთები აფხაზეთის დედაქალაქში ტანკებითა და მძიმე ტექნიკით შევიდნენ. ქალაქში შესვლისთანავე დაპირისპირებულ ძალებს შორის ბრძოლა ქალაქ სოხუმის ტურბაზის რაიონსა და იმავე რაიონთან ახლოს მდებარე წითელი ხიდთან გაიმართა. სოხუმის ძირითად ნაწილში დარჩენილმა აფხაზურმა სეპარატისტულმა ხელისუფლებამ წინააღმდეგობა სამი დღე გასწია და 17 აგვისტოს სოხუმი ორგანიზებულად დატოვა და ქალაქ გუდაუთაში გადავიდა.

ამ სამი დღის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ვლადისლავ არძინბასთან შეხვედრა. როგორც შემდგომ გაირკვა, იგი სოხუმის განაპირა, შუქურის რაიონში განლაგებულ რუსულ სამხედრო ნაწილში იყო და იქიდან ხელმძღვანელობდა აფხაზური ძალების წინააღმდეგობას, მაგრამ შემდეგ თავადაც გუდაუთაში გადაბარგდა.

აფხაზეთში 14 აგვისტოს დაწყებული საომარი მოქმედებების ძირითადი ფაზა 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა. სოხუმის დაცემას წინ უძღოდა რუსეთის მონაწილეობით მხარეებს შორის მოლაპარაკებები, რომლის შედეგადაც 27 ივლისს ხელი მოეწერა სოჭის ხელშეკრულებას, რომელიც აფხაზურმა მხარემ ცალმხრივად დაარღვია, მაშინ როცა ქართულ მხარეს აფხაზეთიდან გამოყვანილი ჰყავდა მძიმე სამხედრო ტექნიკა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჩამოყალიბებული ბატალიონები კი — დაშლილი.

მიუხედავად ამისა, 16 სექტემბერს დაწყებული სოხუმისათვის ბრძოლა 27 სექტემბერს დასრულდა. სოხუმის აღების ოპერაციაში აფხაზური ქვედანაყოფების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ჩრდილოეთ კავკასიელი მოხალისეები, ისე რუსეთის ხელისუფლების მიერ მობილიზებული კაზაკები და რუსეთის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფები და სომხური, „ბაგრამიანის სახელობის“ ბატალიონი.

ომის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება 300 ათასამდე, უმეტესად ქართული ეროვნების ადამიანებს მოუწიათ. საომარი მოქმედებების შედეგად, ქართული მხრიდან ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სახით 10 ათასამდე ადამიანი შეეწირა.

აფხაზურმა შენაერთებმა საქართველოსა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე ენგურზე 1993 წლის 30 სექტემბერს დაიკავეს. სწორედ ამიტომ აფხაზური ხელისუფლება ქართულ მხარესთან საომარ მოქმედებებში გამარჯვებას ოფიციალურად 30 სექტემბერს აღნიშნავს.

ვილენ ალავიძე, ნუგზარ რუხაძე, გივი აბზიანიძე, ანზორ ბურჯანაძე, რესან კონცელიძე, ბონდო ჯიქია, თემურ შაშიაშვილი, რამაზ მხეიძე, ბაკურ გულუა, მერი ფაჩუაშვილი, ვიტალი ხაზარაძე, ლევან დათიაშვილი, გიორგი ხაზარაძე, თემურ ხაზარაძე, გაიოზ ნოზაძე, ნოდარ ანდრიაძე, დემურ მიქაძე, გიორგი ნაჭყებია, კლიმენტი ჯანჯღავა, კოკი ბაქრაძე, თამაზ კუნჭულია, ვლადიმერ გვარჯალაძე, ანრი მაჭარაშვილი, ოთარ ჭითანავა, ბორის ფოცხვერაშვილი, თენგიზ კალანდაძე, გურამ გუნავა, ალეკო კაკულია, დავით წერეთელი, მურთაზ მამისეიშვილი, ალეკო ძოწენიძე, თამაზ ცანავა, ზურაბ სვანიძე, ხუხა ჭაბუკიანი, ელიზბარ ლომინაძე, შოთა კიკალიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, წლების განმავლობაში საქალაქო და რაიონული პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების პირველი მდივანი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „სახაგრომრეწვის“ ერთ-ერთი თავკაცი, ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღმზრდელი და დამრიგებელი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოსა და ორდენის მფლობელი, ზნეობრივად ამაღლებული კაცი

თამაზ შალვას ძე იმედაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.

ნოდარ ჭითანავა, ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, კლიმენტი ჯანჯღავა, ალეკო კაკულია, ამირან როგავა, შოთა კიკალიშვილი, გრიშა შონია, დემიკო ლოლაძე, ავთანდილ ბესელია, ზურაბ გოგოხია, ოთარ ჭითანავა დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, წლების განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელი, „საქსახაგრომრეწვის“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი თავკაცი, ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტის თანადამაარსებელი და პრორექტორი, ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, უკეთილშობილესი პიროვნება და ჭეშმარიტი მამულიშვილი

თამაზ შალვას ძე იმედაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

მარინა კანდელაკი, გურამ გოგიაშვილი, თენგიზ კალანდაძე, ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის დიდი მეგობარი და სასურველი ავტორი, უპატიოსნესი პიროვნება და მამულიშვილი

თამაზ იმედაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გიორგი, თემურ, მამუკა ხაზარაძეები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობრის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს

თამაზ იმედაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს.

◎ სასიამოვნო ფაქტი

ბაღის ახალი სიცოცხლე



საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში თამარის ხიდთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. მიმდინარეობს გზის გაფართოება და სავალი ნაწილის გაუმჯობესება.

◎ ინფორმაცია

სტიქიით დაზარალებულები უკმაყოფილონი არიან

თამარაშვილის ქუჩაზე, 13 ივნისს სტიქიით დაზარალებულმა მოსახლეობამ აქცია გამართა. სვანიძის ქუჩის, წყნეთის ხევის, ჩიქოვანის ქუჩისა და ახალდაბის მცხოვრებლებმა რამდენიმე წუთით გზა გადაკეტეს.

სტიქიით დაზარალებულები მერიასთან კომუნიკაციის ნაკლებობაზე მიუთითებენ და დედაქალაქის მერთან შეხვედრას ითხოვენ.

ლარის გაუფასურებიდან გამომდინარე, ქირისათვის მერიის მიერ გამოყოფილ თანხაზე დაზარალებულებს თანხის დამატება საკუთარი სახსრებით უწევთ. დაზარალებულები საკითხის დროულად გადაწყვეტას და კომპენსაციების გაცემას მოითხოვენ. მოსახლეობას შეკითხვები აქვს შემოწირულ თანხასთან დაკავშირებითაც.

„28 მილიონი, რომელიც დაზარალებულებს შემოწირეს, არ ვიცით, სად წავიდა. ვიცით, რომ 22 ოჯახს ბინები უყიდეს, თუ 28 მილიონად 22 ოჯახს ბინა უყიდეს და ფული ამაში დაიხარჯა, მაშინ ვილები უყიდიათ. თუ ინფრასტრუქტურაში დახარჯეს, რათა გზები დაეგოთ და კანალიზაციები მოეწესრიგებინათ, ეს არასწორია, რადგან ამაში გადასახადებს ვიხდით და შემოწირული თანხით ეს არ უნდა გაეკეთებინათ“, — აღნიშნა ერთ-ერთმა დაზარალებულმა ეკა ჯანაშიამ.

ადგილზე იმყოფებოდნენ ვაკის რაიონის გამგებელი ლაშა აბაშიძე და თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს უფროსი კარლო ლაფერაძე.

თამარაშვილის ქუჩაზე მოძრაობა აღდგენილია. დაზარალებულები სამომავლოდ აქციების გამართვას კვლავ გეგმავენ.

◎ ეს ყველამ უნდა იცოდეს

ბინაში რეგისტრაცია ახალი წესებით მოხდება

მესაკუთრის **უფლებების დაცვისა და საარჩევნო სიის კიდევ მეტად დახვეწის მიზნით საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ახალი ბრძანება გამოსცა.**

ბრძანებით, რომელიც უკვე შევიდა ძალაში, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა ორი მოწმის ინფორმაციის საფუძველზე სხვა პირის საცხოვრისში რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის წესი იცვლება. ამიერიდან სხვის საკუთრებაში რეგისტრაციის პროცესში უძრავი ქონების მესაკუთრის უფლებები უფრო მეტად იქნება დაცული.

დღემდე მოქმედი პროცედურით, იყო ბინაში უცხო პირის დარეგისტრირების შემთხვევები, რომელიც არც ფაქტობრივად ცხოვრობდა აღნიშნულ მისამართზე და არც მესაკუთრის თანხმობა ჰქონდა რეგისტრაციისათვის; ეს კი არღვევდა მესაკუთრის უფლებებს და უზრდიდა მას კომუნალური მომსახურების გადასახადების ხარჯებს. ასევე, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც შემთხვევით ნაპოვნი ორი მოწმის ინფორმაციის საფუძველზე პირი რეგისტრირდებოდა სხვის საცხოვრისში სხვადასხვა მიზნისათვის. ახალი ბრძანებით, საცხოვრისის მესაკუთრისათვის მარტივდება ასეთი პირების რეგისტრაციიდან მოხსნის პროცედურაც.

ახალი რეგულაციით, სხვადასხვაგვარად რეგულირდება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის, იურიდიული პირის საკუთრებაში, მეორე მხრივ კი – ფიზიკური პირის საკუთრებაში რეგისტრაცია.

სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის, იურიდიული პირის საკუთრებაში რეგისტრაციისათვის აუცილებელია მესაკუთრის თანხმობა და ასეთ შემთხვევებში ორი მოწმის ინსტიტუტი გაუქმდა; ფიზიკური პირის საკუთრებაში რეგისტრაციისათვის კი საჭიროა მესაკუთრის თანხმობა ან ორი მოწმის წერილობითი დასტური, რომ რეგისტრაციის მსურველი პირი უკანასკნელი 3 თვის (ნაცვლად 1 თვისა) განმავლობაში ნამდვილად ცხოვრობს სარეგისტრაციო მისამართზე. ორივე მოწმემ უნდა დაასაბუთოს, თუ საიდან შეიძლება ჰქონდეს მათ უტყუარი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული პირი მოცემულ მისამართზე ცხოვრობს 3 თვის განმავლობაში. აქამდე მოწმეებს ეს ვალდებულება არ ჰქონდათ. ასევე, ახალი წესის თანხმად, ორივე მოწმე გაფრთხილდება ცრუ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ და ამის თაობაზე საკუთარი ხელით შეავსებს გაფრთხილების გრაფას. ეს გამორიცხავს ისეთი მოწმის არსებობას, რომელსაც არ შეუძლია წერა-კითხვა, რის შემთხვევებიც აქამდე არსებობდა. საცხოვრისის მესაკუთრემ რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამ მხრივ წესი რჩება უცვლელი.

შეიცვალა დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელთა რეგისტრაციის წესიც. დღემდე ამისათვის მხოლოდ პირადი განცხადება იყო საჭირო. **ცვლილებების თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა მისამართზე რეგისტრაციისათვის ყველა ის დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ, რომელთა წარდგენასაც კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეს ავალდებულებს. ეს თავიდან აგვაცილებს ისეთ სიტუაციებს, როდესაც საქართველოს მოქალაქე ხშირ შემთხვევაში კომუნალური გადასახადების გადახდისას ან არჩევნების წინ საკუთარ ბინაში რეგისტრირებულ მისთვის უცნობ უცხოელებს აღმოაჩენდა.**

გამარტივდა მესაკუთრის მიერ მის საცხოვრისში რეგისტრირებული პირის რეგისტრაციიდან მოხსნა. **მესაკუთრე აღარ არის ვალდებული, წარადგინოს ორი მოწმის წერილობითი ჩვენება, რომ რეგისტრაციიდან მოსახსნელი პირი არ ცხოვრობს მის საკუთრებაში. რეგისტრაციიდან მოხსნის განაცხადთან ერთად საკმარისია, მესაკუთრემ წარადგინოს მის საცხოვრისში რეგისტრირებულ პირთა სია და ამ რიცხოვნობის დამადასტურებელი შესაბამისი კომუნალური მომსახურების (ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების) გადასახადების ქვითარი. გადაწყვეტილება რეგისტრაციიდან მოხსნის ან მასზე უარის თქმის თაობაზე ათი დღის ვადაში უნდა იქნეს მიღებული. მესაკუთრეს გადაეცემა მის საკუთრებაში რეგისტრირებულ პირთა სია, ხოლო პირი რეგისტრაციიდან მოხსნილად ჩაითვლება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე.იუსტიციის მინისტრის ბრძანების თანახმად, ასევე, გაუქმდა ე.წ. პირობადებული რეგისტრაციის ინსტიტუტი, რომლის მიხედვითაც, როდესაც მესაკუთრე მისი საცხოვრისიდან უცხო პირების რეგისტრაციიდან მოხსნას მიაღწევდა, მას უნდა დაეცადა მომდევნო 6 თვე, რომ რეგისტრაციიდან მოხსნა რეალურად შესულიყო ძალაში.**

ბრძანებაში ცალსახად ჩაიწერა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტო ვალდებულია, მესაკუთრეს მიაწოდოს იმ პირთა სია, ვინც აღმოჩნდება მის საცხოვრისში რეგისტრირებული. ამ ჩანაწერის საჭიროება განაპირობა იმან, რომ არაერთი მესაკუთრე, რომელმაც სხვადასხვა დროს იუსტიციის მინისტრს მიმართა, ჩიოდა, რომ მის ბინაში რეგისტრირებულ პირთა რიცხვი აღემატებოდა მასთან ერთად მცხოვრები პირების ოდენობას, მაგრამ ვერ იღებდა ინფორმაციას მისთვის უცნობი პირების შესახებ, რომლებიც მის საცხოვრისში იქნენ მისი ნებართვის გარეშე რეგისტრირებულნი.შესაბამისი ცვლილებები „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებაში „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა (https://matsne.gov.ge/ka/document/view/2945851).

ახალი ნორმების პრაქტიკაში გამოყენების მონიტორინგი უკვე დაიწყო და ყოველდღე გაგრძელდება ამ ნორმების გაუმჯობესებისთვის მუშაობა.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ნინია ჭიჭიკიას ათი წელი ხვდებოდა, ბოლოს ვეღარ გაძლო და ეკითხება:

— ბიჭო, რავა ფიქრობ, დრო აღარაა ვიქორწინოთ?

— კი, ჩემო ნინია, დრო რავა არაა, მაგრამ ახლა შენ მითხარი — ან მე ვინ გამამყვება ცოლად, ან შენ ვინ შეგირთავს ასეთ ნათრევს?!.

* * *

— **გემრიელი** თუა შენი სანაქებო ხინკალი, ვანიჩკა?

— მერე რაფერი გემრიელი, თუ იცი, შეიძლება ჭკვაზე გადახვიდე კაცი!

— მიდი ერთი, ჭკვაზე გადახვიდე კი არა!..

— არ გჯერა, ხომ? კაი, ბატონო: ე, იმ შიშველ ყაზილარს ხომ ხედავ, სახურავზე რომ ზის და ლაგატკას რომ ესვრის ბონდოს ცოლს გავაში? მაგას ოცი ცალი ჩემი ხინკალი აქვს ნაჭამი! აბა!..

* * *

— **მიხო**, ჩაი ხომ არ დაგველია?

— ჯო, ეგ როგორ მოახერხე, რომ სიტყვაში „ღვინო“ ოთხი შეცდომა დაუშვი?!.

* * *

მამაკაცების საუკეთესო მეგობრები არიან არაყი, სიგარეტი და ქალები, რომლებიც ბრილიანტებს გაებუტნენ და ახლა მხოლოდ მამაკაცებთან მეგობრობენ.

* * *

ტრიპტიძე:

ივანე მრისხანე კლავს თავის ვაჟიშვილს, ანგრევს სასახლეს და ჭრის ხეს.

* * *

ნორჩ პათოლოგანატომთა საერთაშორისო ფორუმზე უბედური შემთხვევა მოხდა! ყმაწვილების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა!

* * *

— **რა** უფრო მნიშვნელოვანია — ფული თუ სიყვარული?

— შენ, კაცო, სულელი ხომ არა ხარ, რა კითხვებს სვამ? რა თქმა უნდა, ფული, თორემ სიყვარულს კაცი ყოველთვის იყიდი!..

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქოგულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე